30—1624

619
1991

აპრილი №4 1991

ლიტერატურული საქართველო

მამულო, საქვარელო!

დროშა

№ 4. აპრილი (652). 1991

დამოუკიდებელი ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ზინაარსი:

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.
აღდგენილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.
შალვა ამირანაშვილი. ჩვენ ვსწავლობთ ლენინს.
ვასილ გვეტაძე. აკრძალული ლადო ასათიანი.
ნუნუ კუპრეიშვილი. მამაშვილობა.
ვიაჩესლავ პიეცუხი. ახალი ქარხანა (მოთხრობა).
თამრიკო გუნაშვილი. ერის წყლული აჩნდა წყლულად.
ოთარ ქინქლაძე. ლავრენტი ბერია — მითი და სინამდვილე.
ერნესტ ჰემინგუეი. მკვლელები (მსოფლიოს ნოველა).
როგორ დავხარჯოთ ნაკლები ბენზინი, საყოფაცხოვრებო ანეკდოტი, ბიზნესი, უცხოური იუმორი, კროსვორდი.

დამფუძნებლები: საქართველოს ჟურნალ-გაზეთების წამომცველობა „სამშობლო“ და ჟურნალ „დროშის“ კოლექტივი.

© „დროშა“, 1991 წ.

მთავარი რედაქტორი
ოთარ ქინქლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა გახტაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა ბიორგოგბიანი, ოთარ დეკეტრაშვილი, ვახტანგ ეწვანჯია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის საგანგებო სხდომა

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის შიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დაბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, **ადგენს და საჯაროდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.**

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულიად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნებიჯებისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

თბილისი, მთავრობის სახახლე.

1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.

საქართველოს ეროვნული

9 აპრილი. 1991 წელი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა.

დარბაზი ფეხზე დგას და წუთიერი დუმილით პატივს მიაგებს იმათ ნათელ ხსოვნას, ვისი სიცოცხლეც საქართველოს მომავალმა შეიწირა.

მაშინდელი 1989 წლის სისხლიანი კვირა ტლანქმა და უცხო იმპერიულმა ძალამ გაგვითენა.

დრო ყველაფრის მკურნალიაო უთქვამთ და, მართალია ეს, მაგრამ ის ჩვენი ნაიარევი ასე ადვილად არ შეხორცდება.

იმიტომ კი არა, რომ დრო ცუდი მკურნალი აღმოჩნდა, არამედ იმიტომ რომ, ის ღამე იყო ჩვენი სისხლიანი სიზმრიდან საბოლოოდ გამოღვიძების დილა.

მწუხრი არ განელებულა, მაგრამ განკითხვის ჟამი ჯერაც არ დამდგარა.

იმ სისხლიანი კვირიდან კი უკვე ორი წელი გავიდა.

მაშინ, დანაშაულის „ცხელ კვალზე“, როცა აფორიაქებული მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი თანაგრძნობას გვიცხადებდა, საჯაროდ ითქვა, რომ „სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოები უზრუნველყოფენ მკაცრ კონტროლს თბილისში მომხდარი მოვლენების ფაქტის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობისადმი, კანონის შესაბამისად გამოძიების ობიექტურობასა და სისრულეს, აგრეთვე საზოგადოებრიობის სისტემატურ ინფორმირებას“.

აღდგენილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა

მაშინ, დანაშაულის „ცხელ კვალზე“, როცა აფორიაქებული მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი თანაგრძნობას გვიცხადებდა, თბილისში მოვლინებულმა მედიკოს სპეციალისტთა ჯგუფმა მოითხოვა: „საჯაროდ გაასამართლონ ისინი, ვინც ბრძანება გასცა შხამები, ცივი იარაღი (მესანგრეთა ხელბარები) გამოეყენებინათ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ. გაასამართლონ ისინი, ვინც ეს შემზარავი ბრძანება შეასრულა და ისინიც, ვინც დღემდე მალავს გამოყენებული ქიმიური იარაღის შემადგენლობას. დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ თავიანთი დანაშაულისათვის“.

მაშინ, დანაშაულის „ცხელ კვალზე“, როცა აფორიაქებული მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი თანაგრძნობას გვიცხადებდა, საპარლამენტო კომისიამ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას წარუდგინა ჩადენილი დანაშაულის მამხილებელი დასკვნა და დაადასტურა, რომ „კომისია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობდა ყრილობის დავალებით ყველაფერში ბოლომდე გარკვეულიყო, ძირფესვიანად გამოეძიებინა ყველაფერი, ვისაც და რასაც უნდა შეხებოდა ეს“. ვისაც ეს სსრ კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში შეეხო, მან უმალ განაცხადა, რომ „თბილისის მოვლენები ჩვენი საერთო ტკივილია. ჩვენ განვიცდით ამ მოვლენების ტრაგიზმს, თანაგრძნობას ვუცხადებთ ქართველ ხალხს იმის გამო, რაც მოხდა“.

მაგრამ, იმ სისხლიანი კვირიდან უკვე ორი წელი გავიდა, ხოლო განმკითხავი კი მაინც არ სჩანს.

იმიტომ რომ, არავინ არის განმკითხავი.

და, საქმე „წარმოებით მოისპო“.

ძალა ახლაც და, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და გამოცდილებითაც ხნავს აღმართს.

და, ყოველივე ეს ხდება ყბადაღებული „პერესტროიკის“ ექვსი წლის თავზე, როცა იგი თავად მისმა ორგანიზატორებმა დაასამარეს.

ხოლო, ყოველივე ამის შემდეგ, განა შეიძლება დავივიწყოთ მაშინდელი „9 აპრილი“. და ისინი, ვინც ქართული ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების ღვთიურ საქმეს შეეწირა?

არა.

ან დავუშვათ, რომ ჯალათს ჯალათობა შერჩეს და ბოროტებამ სიკეთეს სძლიოს?

არა.

და, ან დასაშვები იყო განა ქართველი ერის საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა იმ იმედით, რომ იგი სსრ კავშირის შენარჩუნებას და მის შემადგენლობაში დარჩენას მისცემდა ხმას?

არა.

საქართველოს თავისი ისტორიული სვლის საკუთარი გზა აქვს. 1991 წლის 31 მარტს გამართულ რეფერენდუმში გამოხატა ქართველმა ერმა, რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ერების წარმომადგენლების მხარდაჭერით, ამ გზით სიარულის ერთსულოვანი ნება-სურვილი.

ეს ნება-სურვილი გამოხატა ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან რეფერენდუმის მონაწილეთა 90,79 პროცენტმა, ხოლო სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტის „დიახ“ მომხრეთა რიცხვმა შეადგინა კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 99,08 პროცენტი.

ასე და ამდაგვარად, საქართველოს რესპუბლიკაში 1991 წლის 31 მარტს გამართული რეფერენდუმის შედეგებმა დაადასტურეს, რომ სრულიად საქართველო თანახმაა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

და, მოხდა საოცარი დამთხვევა.

სწორედ 9 აპრილს, იმ სისხლიანი კვირის ზუსტად ორი წლის თავზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ აღასრულა ქართველი ერის ურყევი ნება და მიიღო ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი: „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“.

თბილისი,
მთავრობის სასახლე,
1991 წლის 9 აპრილი,
12 საათი და 30 წუთი.

აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ეს ახალი საქართველოს დაბადების დღეა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი:

— „საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და დეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დაამბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ“.

დაამბრკოლოსო ჩვენი სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

ეს ყველამ მტკიცედ უნდა დავიმახსოვროთ.

თითოეულ ჩვენთაგანს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული და შეგნებული, რომ მძიმე გზა გვაქვს გასავლელი, ხოლო მისი გაკვალვა ჩვენზე, მარტოოდენ ჩვენს გონიერებასა და უდრეკ, ვაჟკაცურ ხასიათზე, ნებისყოფასა და გამჭრიახობაზე, შრომისმოყვარეობაზე, ცოდნისმოყვარეობასა და ეროვნულ სიჯანსაღეზეა დამოკიდებული.

ჩვენს ხელთ არის ხსნა, მხოლოდ ჩვენს ხელთ, და მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ვიხსნათ თავი ბოროტებისა და ძალმომრეობისაგან.

გაუმარჯოს დამოუკიდებელი საქართველოს აწმყოსა და მომავალს!

ჩვენ ვსწავლობთ ლენინს!

წლების მანძილზე გვიჩიჩინებდნენ და გვმოძღვრავდნენ, შეისწავლეთ, შეითვისეთ და გიყვარდეთო ილიჩი. ვერ ვისწავლეთ, ვერ შევითვისეთ, ვერ შევიყვარეთ ილიჩი. ახლა კი, როცა ძირს დაამხეს მისი ძეგლები, დადგა ლენინის საფუძვლიანად შესწავლის ჟამი.

ლენინი ოქტომბრის რევოლუციის წლისთავზე 1918 წ. 7 გიორგობისთვეს, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თანამშრომელთა მიტინგ-კონცერტზე წარმოთქმულ სიტყვაში ამბობს: „როდესაც ჩვენ სისასტიკეს გვისაყვედურებენ, ჩვენ გვიკვირს, როგორ ავიწყდებათ ადამიანებს ყოვლად ელემენტარული მარქსიზმი“ (ლენინი ტ. 28. გვ. 195, მეოთხე გამოცემა).

ამრიგად, ხალხებს საფუძველი აქვთ, წყევლა-კრულვა შეუთვალონ მარქსსაც იმ აურაცხელი ტრაგედიისათვის, რაც მისი მოძღვრების გადამკიდე ლენინმა მოუტანა კაცობრიობის თითქმის ნახევარს.

მარქსის ცოდნამდე შორსა ვარ — რა ვიცი, იქნებ ის არაფერ შუაში იყო, მაგრამ რაკი ლენინი მარქსსა და მარქსიზმს იმოწმებს, როგორ არ დავუჯეროთ.

მეორე დღეს, 8 ნოემბერს, ლენინი სიტყვას ამბობს მოსკოვის ოლქის ღარიბთა კომიტეტების დელეგატების წინაშე, სადაც ჯერ საზეიმოდ აცხადებს: „ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენ საბოლოოდ მოვსპეთ მემამულე, წავართვით მას მიწა, მაგრამ ამით ბრძოლა სოფლად ჯერ კიდევ არ დამთავრებულა“ (იქვე. გვ. 197), მერე კი ისტორიის გამოცდილებიდან გამომდინარე, ასე მოძღვრავს თავის მსმენელებს და მკითხველებს: „ევროპაში დღემდე მომხდარ ყველა რევოლუციის გამოცდილება ნათლად ადასტურებს, რომ რევოლუცია გარდუვლად მარცხდება, თუ გლეხობა კულაკურ ძალადობაზე ვერ გაიმარჯვებს“ (გვ. 198).

ამრიგად, ლენინი ვერაგულად უსისინებს გლეხობას, თქვენი ხელით მოსპეთო კულაკები, სხვანაირად რევოლუცია გარდუვლად დამარცდებაო, კულაკები კი სხვა არავინაა, თუ არა ისევ გლეხკაცის მეზობელი, ნათესავი, მეგობარი, დამხმარე, იმედი და დასაყრდენი.

ღმერთის წინაშე ჩვენც, ქართველებს, და საქართველოს მოსახლეობას, რაღაც დიდი მადლი გვქონია, რომ იმ წლებში მაინც, რაკი დამოუკიდებელი რესპუბლიკა ვიყავით, გადავურჩით და მეზობლებს ერთმანეთი არ ჩაგვახოცინა ლენინმა, როგორც ეს რუსეთში და იმპერიის სხვა კუთხეებში მოხდა. თუმცა მომდევნო წლებში, როცა „ოქტომბრის შუქმა“ ჩვენთანაც თებერვალში შემოანათა, არც ჩვენ დაგვკლებია ხოცვა-ჟლეტა და ძმათა სისხლის ღვრა.

ლენინი: „ინგლისსა და საფრანგეთში მეფეები სიკვდილით დასჯეს ჯერ კიდევ რამდენიმე ასეული წლის წინათ, ეს მხოლოდ ჩვენ დაგვაგვიანდა ჩვენი მეფის სიკვდილით დასჯა“ (გვ. 198).

მეფე და მისი ოჯახი ოთხი თვის დახვრეტილნი იყვნენ. „კაცთმოყვარე“ ლენინი კი ნანობს, რომ მეფე-იმპერატორი უფრო ადრე არ დახვრიტა. ვაი, რა სატანური ჯატაკლიზმებითაა აღსავსე უბედური რუსეთის ისტორია. მადლიერმა თუ უბედურმა რუსმა ხალხმა ცათამწვდომი ძეგლები აუგო ბნელეთის მოციქულსა და ნიკოლოზ მეორის უმანკო ბავშვების — ალექსის, ოლგას, ტატიანას, მარიასა და ანასტასიას მკვლელს.

ლენინი: „მენშევიკები და ესერები ჩვენ გვაშინებდნენ გათიშვით, რომელსაც ჩვენ შევიტანთ სოფლად ღარიბთა კომიტეტების შექმნით, მაგრამ რას ნიშნავს ის, რომ სოფელი არ გათიშო? ეს იმას ნიშნავს, რომ იგი კულაკის ბატონობის ქვეშ დატოვო, მაგრამ ჩვენ სწორედ ეს არ გვინდა, და ამიტომ გადავწყვიტეთ გაგვეთიშა სოფელი. ჩვენ ვამბობდით: მართალია, ჩვენ კულაკებს დავკარგავთ, ამ უბედურებას ვერ დამალავ (სიცილი), სამაგიეროდ ათასობით და მილიონობით ღარიბ გლეხს შევიძენთ, რომლებიც მუშების მხარეზე დადგებიან (ტაში)“ (გვ. 200-201).

ლენინურად ბრძნული ლოლიკაა, ვერაფერს იტყვი. მსმენელი აუდიტორიაც შესაფერი ყოლია.

არაფრით არ განსხვავდება ამ ორი წლის წინანდელ სახალხო დეპუტატთა ყრილობის აუდიტორიისაგან, როცა იქ ანტიდემოკრატიული ფრთა თუ კონსერვატორიული ნაწილი, ან ყრილობის „აგრესიულად“ მორჩილი“ დეპუტატები მქუხარე ტაშით აჯილდოებენ გენერალ როდიონოვს, შავრაზმელ გენერალ გრიაზნოვის შორეულ შემკვიდრეს, რომელმაც ქალებისა და გოგო-ბიჭების ნიჩბებით აჩეხვით სცადა „წესრიგი დაემყარებინა“ თბილისში.

ლენინის სწავლა არასოდეს ყოფილა გვიან.

ზალვა ამირანაშვილი

აკრაძეული ლადო ასათიანი

ვასილ გვეტაძე

— რაც შენ წახვედი, მას შემდეგ სულ მარტო ვარ. არც ქალაქში გავსულვარ ერთხელ მეტად. „გრანდ-ოტელისაკენ“ არ გამიხედავს. დღეს ვიშოვნე სამი მანეთი და ჩვენს საყვარელ მაგიდასთან მინდა დავჯდე საშაქარლამოში. მინდა ვიფიქრო შენზე... სხვებზე... ყველაზე... ქვეყანაზე. ცოტა ჩემზედაც...

ხელმეორედ, ხელმესამედ უნდა გადაიკითხო ეს სტრიქონები, ეცადო და წარმოიდგინო სულმუდამ რაღაცნაირად გაღიზიანებული და დამფრთხალი, ზოგჯერ ზედმეტად მიზეზიანი და ჭირვეული, ზოგჯერ გაოცებამდე მიამიტი და მგრძნობიარე, მაგრამ ყოველთვის რაღაცისა და ვიღაცის მოსაგერიებლად გამზადებული ახალგაზრდა კაცი.

აქ კი „ყურებჩამოყრილ მოყმესავით“ გამოიყურება და თავისთავს არა ჰგავს.

თუმცა არც ამაშია რაიმე გასაკვირველი. მარტოობაში დარჩენილ ჭაბუკს გახსენებია „ძმა და მეგობარი, მამა და მასწავლებელი, ძვირფასი ნიკალაშა“, ნიკა აგიაშვილი, და თავისი საფიქრალ-სადარდელი ჩვეულებრივად გაუმხელია მისთვის:

— ეჰ, ნიკალაშა, როგორ მარტოდ დამტოვე. კაცი არა მყავს, სიტყვა ვუთხრა... ვინ ყოფილხარ, რა ყოფილხარ!..

ქუთაისში სასტუმრო „გრანდ-ოტელში“ ცხოვრობდა ნიკა — მარტოხელა, უცოლშვილო. ერთი პატარა ოთახი ეკავა. თბილისში რომ გადმოვიდა და ნიკას ოთახი უნიკაოდ დარჩა, იმ სასტუმროსაკენ რაღა მიახედებდა ლადოს.

ის საშაქარლამო კი, ლადო რომ იგონებს, ზედ რიონის კიდეზე იყო მიდგმული, თეთრ ხიდთან, სოლომონისეული ჭადრის ახლოს.

მეგობრებს აქ უყვარდათ შესვლა. შემოუსხდებოდნენ ამოჩემებულ მაგიდას და ჩაის ბოლში გახვეულებს, საათობით შეეძლოთ ეოცნებათ.

ამნაირ წუთებშია ჩაფიქრებული ალბათ „კაფე რიონის პირად“, ეს ნაღვლიანი და მოკამკამე ლექსი:

> იმ ცისფერ კაფეს ვიგონებ ახლაც,
> დღემდე იმგვარად დარჩა ის, მგონი.
> დღემდე მეც ძვირფას ოცნებად მახლავს
> ჩაის ვარდები და ჩაის ბოლი.
> ისმის რიონის შრიალი შორი,
> ჩვენს ლურჯ თვალებში შემოუსვლელი.
> ცისფერ კაფეში შევდივართ ორნი,
> ცისფერ მაგიდას შემოვუსხდებით.

— ქუთაისში თოვს... გუშინ ძაღლების ჩხუბს ვუყურე და ჩვენი ბებერი ძაღლი გამახსენდა, — აგრძელებს ნიკასადმი გაგზავნილ წერილს ლადო და იმას, ვინც ამ ბებერი ძაღლის ამბავი იცის, თვალწინ დაუდგება ძველი, ნაცნობი სურათი.

„გრანდ-ოტელთან“, კიბის ქვეშ, ერთმა ბებერმა ძაღლმა დაიდო ბინა. მშიერი და უპატრონოდ მიტოვებული, ას კაცში გამოიცნობდა ლადოს, დაინახავდა თუ არა, მაშინვე მისკენ წამოწკავწკავდებოდა და ფეხებზე დაუწყებდა ლოკვას.

— ეს იმ ბებერი ძაღლის მოსაგონარი იყოს, ნიკოლოზ ჩემო, რომელიც ასე ბებერი და დაუძლურებული მუდამ ახელებდა ჩვენს შთაგონებას თავისი მრავლისმეტყველი თვალებით...

ლადომ ვითომ ისე, „სახუმაროდ და საქილიკოდ“, ეს ძაღლი თავისი სახელით „მონათლა“ და ამნაირი კალამბურითაც შეამკო:

> ძაღლური ყოფის გამომსახველი,
> ძაღლსაც დაერქვას ჩემი სახელი.

შეიძლება საჭირო არც იყო ამის გახსენება. მით უმეტეს, არაფერია ამ სტრიქონებში მაინცდამაინც გამორჩეული და ასათიანისებური. მაგრამ სხვა რამეა აქ მთავარი: რამ მიიყვანა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ჭაბუკი იქამდე, რომ ეს ეთქვა. პოეტია და პოეტს „წამოსცდება“ ხოლმე ხანდახან ამნაირი რამ? მაგრამ სიმწარე და ტკივილი რომ უფრო მეტია ამ ამბავში, ვიდრე ხუმრობა და ქილიკი?

ასეთია ის — ლადო ასათიანი, „ხუმრობს“ მაშინ, როცა ძალიან უჭირს. მხიარულია, ერთი შეხედვით, ვითომ. არაფერს იმჩნევს და ღირსეულად უჭირავს თავი ამ გაძაღლებულ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

და ასეთია მაშინაც, როცა უკიდურესობამდეა აწეწილი მისი ცხოვრება...

სხვის სულში მაცქერალმა არაწმინდა კაცებმა, თეთრ კბილს რომ აჩენენ და შავი გული აქვთ, ეტყობა საბოლოოდ გაიმეტეს.

აშკარად დაინახა ეს შავი კაცები ლადომ და ერთ-ერთ მათგანზე ზედგამოჭრილად თქვა კიდეც:

— ისეთი გამოხედვა აქვს, ყველაფერს იკადრებს, გიღალატებს, მოგატყუებს, ორ გროშად გაგყიდისო!

შენ სხვა რამე თქვი, თორემ, ორ გროშად კაცის გამყიდველი სანთლით საძებნელი როდის ყოფილა. ერთი „უწყინარი“ დასმენა და ყველანაირი მღვრიე წყალი თავის ღარზე წავა.

ერთბაშად შემოვარდა მღვრიე წყალი ლადოს ოჯახშიც. ნიღაბი აიფარა შავმა კაცმა სახეზე და უკადრისი საქმე იკადრა. დაუპატიმრეს დედა და „ხალხის მტრად“ მონათლული, შუა აზიაში გადაუსახლეს.

ადვილი მისახვედრია, რა ჭკუაზე დადგებოდა ქვეყნის უღელში შესაბმელად გამზადებული შვილი. რა უნდა გააკეთოს უფროსმა ვაჟიშვილმა, რომ იცის, რითი სულდგმულობს დედა, მაგრამ არ იცის, ვინ დაიდო მისი ცოდვა.

მერე მამა გაუსახლეს ქალაქიდან. გაუსახლეს თუ თვითონ წავიდა, კარგად არ მახსოვს. ყოველ შემთხვევაში, ამ ამბის შემდეგ ქუთაისში რომ აღარ უცხოვრია, ეს დანამდვილებით ვიცი. წავიდა ბარდნალაში, მშობლიურ სოფელში, და ლადოს მომდევნო და-ძმაც თავისთან წაიყვანა.

თვითონ ლადო, ბოლო კურსის სტუდენტი, ინსტიტუტიდან გარიცხეს. კომკავშირიდანაც გარიცხავდნენ. არ მოხერხდა უბრალო მიზეზის გამო — კომკავშირელი საერთოდ არ ყოფილა.

მაშ, რითი მოვიდა აქამდე? „ჩემი ქვეყნის ოქროყანავ“ და „ჩემი სამშობლო“ რა პირით დაწერა? ვის რად უნდა მისი „ილიასადმი“ ან „ძველი დღისათვის“. რას მისტირის გულაჩუყებული:

ო, არ იფიქროთ, რომ ლამაზების
მწვავს სიყვარული ან სიძულვილი.
მე მხოლოდ ძველი დღის დაფასების
და გახსენების მქონდა სურვილი.

შეიძლება მხოლოდ წარსულს ვცემდეთ პატივს და სინანულით გავიხსენოთ ძველი დღეები? ამაში, და მის ბევრ სხვა ლექსში, საეჭვო აზრებია ჩადებული!

და ახალგაზრდა კაცი, რომელმაც შვიდიოდე თვის წინათ წერილით მიახარა დედას „მწერალთა კავშირის წევრობის კანდიდატად დამამტკიცესო“, მწერალთა კავშირიდან გარიცხეს.

ახლებური, სურნელოვანი ლექსებით ამოვსებული გული ჩაიჩუნქრა. სულმა იგრძნო სივიწროვე და ფილტვებში პირველმა ჩხვლეტამ გაიარა.

დაპატიმრებით ვერ დააპატიმრეს, ეტყობა, ვერ ნახეს ამის საბაბი. ბეჭდვა კი აუკრძალეს.

აღარ იბეჭდებოდა ლადო ასათიანი „სტალინელშიც“ — საქალაქო გაზეთში.

ახლა კი, ნამდვილად „უყელეს... ყელი გამოაღადრეს...“ როგორც ტიციან ტაბიძე ამბობს ერთგან, თეთრი კბილებით გაკრეჭილმა შავმა კაცებმა. უკვე პირდაპირ ცოცხლად ჩადება მოუნდომეს ღია სამარეში.

არ ვაზვიადებ. ეს ასეა და ბევრი დოკუმენტია ამაზე.

მაგრამ ამჯერად ამბავს მივყვეთ. კარგა ხანია ქუჩაში აღარ გამოჩენილა. სადაა, როგორ ცხოვრობს? რას ფიქრობს? რისი იმედი აქვს? ხელი ჩაიქნია ცხოვრებაზე და ყველანაირ საქმეს გაერიდა?

აქამდე ბიძამისის — შალვა ასათიანის ოჯახში აფარებდა თავს, ჯაფარიძის ქუჩაზე. ასათიანების ოჯახს სახლის უკანა მხარეზე, ეზოს სიღრმეში დაექირავებინა ორი მომცრო ოთახი დერეფნითა და ღია აივნით. აივანთან ჯგუფ--ჯგუფად ყვაოდნენ ალუჩები და ოღონაშოები.

ჩემი ოჯახიც — მამა და მე, ამ სახლში დავბინავდით, ოღონდ სახლის წინა მხარეზე. ასე რომ, მომსვლელსა და წამსვლელს აუცილებლად ჩვენი ფანჯრების წინ უნდა გაეარა.

სახლის მეპატრონე არ იკითხავთ, ვინ იყო? დავით კლდიაშვილი... ოღონდ პატარა დავით კლდიაშვილი, დიდი დავით კლდიაშვილის შტო და გვარ-სახელის მოზიარე, გამხდარი და მაღალი, ღვლეჭივით დაგრეხილი კაცი.

გაიღო ჭიშკარი და ლადო შემოვიდა.

გულმოსულივით წაჰკრა ხელი ჭიშკარს და მიხურა. ყურადღებაც არ მიუქცევია იმისათვის, ჩაის ვარდებს რომ გადაებურდათ ღობეები, არც იმისათვის, ყვითლად რომ ღუოდა შაბიამნით შეფორაჯებულ ტალავერში მწიფე ყურძენი.

არც სახლის პატრონისკენ გაუხედავს, ტალავერის ქვეშ რომ იდგა და უსიამოდ მოხვდა გულზე ჭიშკრის ბრახუნი.

თითქოს სუნთქვა შეუჩერდა და სულის მოსათქმელ ადგილს ეძებსო, თავისიანებს მიაშურა.

თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს
ერთი იმედით: სიცოცხლე მარად
გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს.

იმ წუთას არ მიგრძვნია და არც დავფიქრებულვარ ამაზე. ისე კი, რა ახლოსაა ეს სტრიქონები და ლადოს იმდღევანდელი საქციელი ერთიმეორესთან.

მეც მიტომ ვბედავ არწივულ ყივილს,
როცა გულს გაჰკრავს ცივი ნიავი,
რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს
და ლექსი თვითონ ტკივილი არი.

კი, კი, ყოველგვარ ტკივილს დააამებს ლექსი. ლაღად და იმედიანად წერე. ქართული სული ქართულ ლექსს უფრო ეგუება. გონებაც უფრო ფხიზლდება ომახიანი ლექსით.

— არ მეხარბება პინდაროსის ბედი, ოდებს ტირანებისა და ცნობილ დიდკაცთა დაკვეთითა და გარიგებული ფასით რომ წერდა. საზიზღარია დაქირავებული პოეტი.

დაქირავებულებს რომ არ მიყიდა სული და ვერანაირ დაფა-ზურნას ვერ აუწყო ფეხი, ამიტომ ისჯება. დაქირავებულთა შუა წრეში მოქცეული, მათგან ათვალწუნებული და თვალდადგმული. იშვიათად როდი გრძნობს ყრუ ტკივილს, გულთან რომ გაუვლის ჟრიალით.

კვალში მოყოლილი ავბედითი აჩრდილის დამნახველმა, აშკარად გაიგონა სამი წლის შემდეგ დასნეულებული ფილტვებით ამოსაძახებელი სტრიქონები:

როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,
ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო.
როგორ არ მინდა ჩემს სიჭაბუკეს
დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები.
ეს რა უშრეტი ცეცხლით დამბუგე,
პირს მარიდებენ ქალიშვილები.

ყოველდღიურობაზე ფიქრი სხვა ფიქრმა შეცვალა, დიადმა და ამაღლებულმა. უნდა ისტორიული რომანი დაწეროს, ერს რომ აამაღლებს:

— გამოგონილი კი არა, ნამდვილი. არა ისეთი, მეფეები მხოლოდ და მხოლოდ გარყვნილები რომ არიან, თავადები მოღალატენი და გლეხობა აჯანყებული და გაყაჩაღებული. ასეთი ქვეყანა აქამდე დაიღუპებოდა.

მერედა, როდის თქვა ეს „თავზე ხელაღებული“ სიმართლე ლადო ასათიანმა. რა პირობებში? რა მდგომარეობაში?

კაცი წელებზე იდგამს ფეხს, ენით უთქმელ გაჭირვებაშია და „ასპინძასა“ და „ბასიანის ბრძოლაზე“ ფიქრობს. „ციხის სიზმარი“ ელანდება და თვალწინ „კრწანისის ყაყაჩოები“ ბრიალებენ. „გურამიშვილის ჩივილი“ ესმის და საგურამოში, ილიას წყაროზე ჩამოშლილ, მხრებგანიერ კაკლის ხეებზე ოცნებობს. ამ ცეცხლკიდებაშია ჩაფიქრებული ვრცელი, ლირიკული პოემა „კოლხიდა“.

წერს ლექსებს ნირშეუცვლელად, ჩვეული სიწრფელითა და სილაღით. თანაც როგორი ყნოსვითა და ალღოთი იხედება თანამედროვე ქართულ მწერლობაში:

— რამდენი ნოდარი, რევაზი, თამაზი, ვახტანგი, შოთა, ოთარი, რამაზი, მერი, მეგი და სხვა გმირებია თანამედროვე მწერლების ნაწერებში. როგორი სახე აქვთ? რა აცვიათ? ხშირად ზოგ ავტორს აღარც კი ახსოვს, როგორები არიან მისი ნაწარმოების უსისხლხორცო და უსახო გმირები. აბა, დაიძახე ლუარსაბ

თათქარიძე! ოთარაანთ ქვრივი! ტარიელ მკლავაძე! სოლომონ მორბელაძე! მოსე მწერალი! სპირიდონ მცირიშვილი!

— უნდა დავწერო ზღაპრები ლექსად. როგორი იქნება გალექსილი „ასფურცელა“ და „ირმისა“ — ორი საუკეთესო ქართული ზღაპარი?..

— უნდა დავწერო ქართული კომიკური რომანი ლექსად.

ლექსად უნდა დავწეროო კომიკური რომანი! განა ამას სიტყვაწართმეული კაცი იტყვის? ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ კაცს დაცდება ასეთი რამე? ბეჭდვა აუკრძალეს, წერა და ფიქრი კი ვერა.

— მინდა მქონდეს საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის... ისე, დიკენსმა რომ დაწერა და შეადგინა.

ისევ „მინდა დავწერო“. ისევ „მინდა მქონდეს“. ისევ სულის ფრიალი სიმაღლეში და ბედთან, ღობალთან, ქვენა გრძნობებთან შეუგუებლობა.

მუხლებზე ხოხვით სამსახური არაა მისი ხელობა. არავის შეძულება არ შეუძლია, ქლესა და მაღვალაკი კაცის გარდა. სწამს ღმერთი და მორწმუნე ადამიანის სჯერა. ამიტომ უსმენს ასეთი მოწიწებით ღვთის მადიდებელ კაცს:

— ქვეყანას მორწმუნე ადამიანი უნდა მართავდესო, გვითხრა ერთხელ ქუთაისის კათოლიკეთა ტაძარში პატრმა დონ დამიანე სააკაშვილმა.

კათოლიკეთა ეკლესია, თეთრი და გუმბათოვანი, რიონის მარცხენა ნაპირზეა, ალვისა და გუნდის ხეებში ჩაფლული, ხავსითა და სუროთი გაბარჯღული კედლებით.

ყველაფერი ჩვეულებრივია და დიადი აქ — ლოცვა-კურთხევა, საკმევლის ბოლი და სანთლის შუქი, დიდებული დონ დამიანეს ხმა და გუგუნი... ამ მომცრო, შავი ორღანოს გუგუნი და გალობა. ოღონდ ცოტა უჩვეულო და უხერხული მხოლოდ ისაა, რომ ჩაღმართში ჩამავალ ქუჩას, რომელსაც თავზე ღმერთის სახლი ადგას გვირგვინად, ყოვლად უღმერთო კაცის — ტელმანის სახელი ჰქვია.

ეს ის დროა, როცა ჩრდილს ჩრდილისა ეშინია და „საკუთარ ძმასაც ველარ გაუმხელ, რაც ჩაკირულა გულში ბალღამი“.

ტიციან ტაბიძე, ვინც ეს სტრიქონები დაწერა, დაპატიმრებულია. პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა.

— ასე ლამაზად მხოლოდ პაოლოს შეეძლო მომკვდარიყო! — თქვა ლადომ მაშინ, „ბულვარის“ კიდეზე თავმოყრილ ახალგაზრდათა წრეში ჩამდგარმა და თქვა იმნაირად, პაოლოს მდგომარეობაში მყოფი, საეჭვო არაა, რომ ისიც ასე მოკვდებოდა.

აქ მინდა გავიხსენო ერთი კურიოზული შემთხვევა, რომელიც ლადოსა და მის ახლო მეგობარს — გიორგი შალამბერიძეს, შემდეგ პროფესორს, გადახდათ თავს.

ლადოცა და გიორგიც სამუშაოს ეძებენ. ყველას მიაკითხეს და ყველგან უარია.

საბოლოოდ მაინც შეიარეს კომკავშირის ქალაქკომში, რომელიღაც განყოფილების გამგესთან.

— ციხეში წახვალთ?

— ციხეში რა გვინდა!

იღიმის განყოფილების გამგე:

— სამუშაოდ თუ წახვალთ ციხეში. „ნადზირატელები“ მომთხოვეს. კარგი საქმეა.

ვინ იცის, იქნებ დასცინეს და გაახუმრეს. იქნებ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და ამით ხაფანგს აგებდნენ. იქნებ სხვა რამის გამოისობითაც სერიოზულად შესთავაზეს ეს „სარფიანი საქმე“.

ასეა თუ ისე, არ ისურვეს ციხის „ნადზირატელობა“ ჭაბუკებმა და ცივწყალშესხმულივით გამოვიდნენ „მოკეთე“ გამგის კაბინეტიდან.

ლადო მუდამ ლადოა და მართალია, „ასსანთლიანი“ ვერაა, მაინც ასათიანურად გაიღიმებს. მეორე დღეს ქალაქში გამოჩნდება.

აი, გამოიარა აგერ თეატრთან. ბულვარის წინა მხარეზე, სანაყინესთან გაჩერდა. გრძელი, ღონიერი ხელები მოკლე, ნაცრისფერ ქურთუკში ჩაუწყვია. ქურთუკი თითქოს ბეჭებზე ასკდება.

მარტის თბილი, უქარო დღეა... ახლახან საგულდაგულოდ და ზეიმით მოწყობილ „შაბათობაზე“ დარგულ ჭადრებს, უკვე კვირტები დასტყობიათ.

მარტი თუმცა ყველგან მარტია, ჭინჭყლი და შარიანი, მაგრამ მარტის ამ დღეზე, ახლა რომ გამობზინდა, საყვედური არ ითქმის. ყოველ შემთხვევაში, ეს ასე ჰგონია ლადოს, და ნიკასაც ამას ატყობინებს:

— ჩემი საქმე კარგად მიდის. ლევან გაბრიაძემ მითხრა, თხუთმეტისთვის ინსტიტუტში დაგაჯენო, დასკვნა გაკეთებული მაქვს და მდივანთან უნდა შევათანხმოო. ალბათ, მეშველება რამე.

სამი მარტია, ოცდათვრამეტი წლის... მცირეოდენი იმედი რაკი გაჩნდა, სისხლიც ცოტათი შეთბა.

ხოლო, ოცი დღის შემდეგ, ოცდასამ მარტს, აწრიალებული და „აცეტებული“, იმავე ნიკა აგიაშვილს „ეევედრება“.

— გიგზავნი მწერალთა კავშირის მომართვას... უთხარი ალიოს კიდევ ჩემს შესახებ. აჩვენე ეს ცნობა და საერთოდ, ასე — მესამე ნომრისთვის აუცილებლად უნდა ვიქნე. გულის ფანცქალით ველი. „მნათობი“ გამომიგზავნე, როგორც კი დაიბეჭდოს. ხომ იცი, ვდნები, სანამ მივიღებდე.

ნიკა აგიაშვილმა ხომ ნამდვილი შერმადინობა გაუწია. ვერც ერთი ამხანაგი და მეგობარი, თუნდაც სისხლით ნათესავი, ვერ გაუკეთებდა ლადოს იმას, რაც ნიკამ გაუკეთა. არც დაუმალია ეს ქართული ლექსის ავთანდილს. მაგრამ იყვნენ კიდევ კარგი, კეთილი ადამიანები. გულით რომ განიცდიდნენ ლადოს გასაჭირს.

ლევან გაბრიაძე, ცოტა ზემოთ რომაა მოხსენიებული, აი, სწორედ ის ერთი კარგაცათაგანია მათგან, ვინც ლადოს ამოუდგა მხარში. სხვათა შორის, ამ კარგი კაცის შვილია რევაზ გაბრიაძე, ჩვენი გამოჩენილი ხელოვანი, მწერალი, დრამატურგი.

ჯანსაღ ძირზე, როგორც ხალხში ამბობენ, ჯანსაღი ტოტი ამოიყრის ხოლმე.

კიდევ ცოტაც და... ლადოსაც გაეხსნება ხელფეხი. მანამ კი, ღადარში გახვეული ოცნება და გაოცება:

ვინ დამიბედა გზები პოეტის,
ვინ გამამზადა საბედისწეროდ.
ნუთუ ამ ქვეყნად მისთვის მოვედი,
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო.

ჭირვეულმა ფიქრმა და წინაგრძნობამ რომ შეაწუხა, იმიტომ ამოიძახა, ალბათ, ასეთი გულმდუღარებით:

— რა იქნებოდა ტოლსტოისა და გოეთეს ხნის ბაირონი, პუშკინი, ბარათაშვილი ან ლერმონტოვი!..

ამოიძახა და, განგების მიერ საკმაოდ ძუნწად მოზომილმა სიცოცხლემ, რომელიც რატომღაც გულდასაწყვეტად და ამღვრეულად მიედინებოდა მის გარშემო ყოველთვის, თითქმის წინასწარმეტყველურად ათქმევინა მაშინვე:

— ვიცი, ჩემი ცხოვრებაც ხანმოკლე იქნება!..

და ბარათაშვილის ასაკამდეცაც ვერ მიაღწია — სულ რაღაც ოცდაექვსი წლისა გარდაიცვალა.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, მართლაც რა იქნებოდა წლებით დამძიმებული ლადო ასათიანი. ღამეში მოკიაფე პატიოსანი თვლებივით მისი გონებიდან გამონათებული რამდენი პოეტური შედევრი აკამკამდებოდა მშობლიურ ქართულ პოეზიაში?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეაეაუვილოგა

სიკეთეს თუ აკეთებ, იცოდე, ვისთვის აკეთებ და მოგებინჭებ-ბა მადლი შენი სიკეთის წილ.

ბიბლიიდან.

ჩვენი ნარკვევის გმირი მაშინ როდი ფიქრობდა იმ მადლზე, რომელიც სიკეთის წილ მიენიჭებოდა.

საკუთარ საზღაურზე, როცა გადამწყვეტი ფაქტის წინაშე დადგა, წუთითაც არ უფიქრია.

მისთვის მთავარიცა და გადამწყვეტიც მხოლოდ შვილის გადარჩენა იყო.

მაგრამ თავგანწირვამ თავისი ჰქნა. მადლიც დაუბრუნდა და საზღაურიც.

დაუბრუნდა და მერე როგორ.

საკუთარი შვილის სიცოცხლის ფასად.

„მე უყოყმანოდ დავთანხმდი გადანერგვაზე. ჩემი შვილის სიცოცხლე რომ გადამერჩინა... ყველაფერს გავაკეთებდი, მას რომ დავხმარებოდი“, — წერდა ამის შესახებ მოგვიანებით ამერიკული პრესა.

სულ ახლახან რადიოსა და პრესის საშუალებით მოწმე გავხდით, როგორ გამოცხადდა სენსაციად და უპრეცედენტო შემთხვევად კალიფორნიაში მომხდარი ამბავი. ორმოცდაექვსი წლის დედამ თავის თორმეტი წლის ქალიშვილს გადაუნერგა... ფილტვი.

მაგრამ ეს დედამ გააკეთა, იმ დედამ, რომელიც ხალხური ზღაპრის მიხედვით მეტსაც აკეთებს შვილისათვის, გავიხსენოთ ზღაპარი.

ქალი თავის სატრფოს ერთგულების დასამტკიცებლად დედის გულს მოსთხოვს. სასოწარკვეთილი ვაჟი, როცა ამას დედას მოუყვება, დედა თავისი ხელით ამოიგლეჯს გულს მკერდიდან და შვილს გაუწოდებს. სატრფოსთან ფრენით მიმავალი ვაჟი ფეხს წამოკრავს რაღაცაზე და გული ხელიდან გაუვარდება.

— ვაიმე, შვილო, დედა მოგიკვდეს, ხომ არაფერი გეტკინა, — აღმოხდება ძირსდავარდნილ დედის გულს.

მრავლისმთქმელი და დამტევია ეს ზღაპარი, რომელსაც სინამდვილის ფესვები კვებავს.

დედა-შვილობის თემა ხომ მარადიულია. ასე ყოფილა ოდითგანვე, ასეა დღესაც.

შვილისთვის არანაკლები ძალა და სიმაგრეა მამა — სიმამაცისა და ვაჟკაცობის სიმბოლო. თუმცა, რა დასამალია და, სასწორი უფრო ხშირად მაინც დედის მხარეს იხრება.

უფრო მეტიც, გადმოცემით, თურმე, ზოგი მამა დედის გარდაცვალების შემდეგ შვილს მამინაცვლად გადაექცევაო.

ვაჟა-ფშაველამ კი ერთ თავის მოთხრობაში ძლიერი და შვილებისათვის თავდადებული მამის სახე წარმოაჩინა.

აი ისიც:

მამა სანადიროდ წავიდა. დედინაცვალმა დრო იხელთა და პატარა გერები წყვდიად ღამეში გარეთ გაყარა ვითომდა საქონლის საძებნელად. ბავშვები „ამინმა“ ფრინველებად აქცია, ისინი მხოლოდ ჩიტების ენაზე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

ამაოდ ეძებდა ნადირობიდან დაბრუნებული მამა თავის ქალ-ვაჟს სამი დღე და ღამე. როცა გაიგებს, რომ თავისი შვილების ენა მხოლოდ კლდეს ესმის, ნატრობს კლდედ გადაქცევას. „ამინი“ უსრულებს მამას ამ თხოვნას.

ჩვენ არ ვიცით, დავით ასათიანს ბავშვობაში წაუკითხავს თუ არა ვაჟა-ფშაველას ეს მოთხრობა, ან მსგავსი მაგალითები ედგა თუ არა თვალწინ, როცა უყოყმანოდ დასთანხმდა შვილისთვის ცოცხალი დონორი გამხდარიყო.

*

... 1989 წლის შვიდი ნოემბერი. დილის რვა საათი. შორეული ამერიკის მინესოტას შტატის თირკმლის გადანერგვის ცენტრი.

ქართველი მამა-შვილი დავით და ალექსანდრე ასათიანები ერთდროულად შეყავთ საოპერაციოში. მიუხედავად წინ გადასატანი დიდი განსაცდელისა, მამა-შვილი კარგ გუნება-განწყობაზეა. მამა, როგორც მას ჩვევია, ენაკვიმატობს კიდეც...

გარეთ კი... ახლობელთა და ნათესავთაგან არავინ ელოდებათ. თვით დედა და მეუღლეც კი... თუმცა ეს სიშორე ათმაგად სატანჯველია დედისათვის, რომელიც მზადაა, თავის თავზე მიიღოს ყველანაირი მსხვერპლი.

ჯონ ნაჯარიანი, დავით საზარლენდი, ფრანკ ესქოუბარი, ქენეს ბრეიმონი და მათი ბრიგადის წევრები მხოლოდ ექვსი საათის შემდეგ ტოვებენ საოპერაციოს.

საღამოს ექვს საათზე კი მამა-შვილის პალატაში ექიმი და ორი მედდა შემოდის. ისინი ეშველებიან მამას ფეხზე წამოდგომაში, ცოტას „გაასეირნებენ" კიდეც და ისევ აწვენენ.

ალეკოსთან კი მხოლოდ მეორე დილით ტარდება მსგავსი „ვარჯიში".

ათი დღის შემდეგ ალეკოს მარტო უწევს საავადმყოფოში დარჩენა. მისი ორგანიზმი ნელ-ნელა ითვისებს „უცხო" სხეულს...

* *

ყველაფერი კი გაცილებით ადრე დაიწყო.

ცამეტი წლის ალეკოს თირკმლის მწვავე უკმარისობა განუვითარდა. ამაო გამოდგა ექიმების ყოველგვარი ცდა თირკმლის ფუნქციის აღდგენაზე. ბავშვის გამოკეთება პერიოდულ ხასიათს ატარებდა.

შემდეგ ისევ ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ამას ზედ დაერთო დიაბეტური მოვლენებიც.

მდგომარეობა დღითიდღე რთული და საეჭვალო ხდებოდა.

ბოლოს კი მთელი წელი ორგანიზმი ხელოვნური თირკმლის ანაბარა დარჩა.

ერთადერთი მბჟუტავი წერტილი შორეულ ამერიკაში გამგზავრება იყო.

მორალურად შვილის მხარდასაჭერად გაყოლილი მამა — დავით ასათიანი ბევრად უფრო რთული გადაწყვეტილების პირისპირ აღმოჩნდა. მას ექიმებმა შესთავაზეს... შვილისათვის გადაენერგა საკუთარი თირკმელი.

... აპრილში მამა-შვილი დიდი მადლიერების გრძნობით ტოვებს მინესოტას... ჯანსაღები და კმაყოფილები.

ერთი წლის შემდეგ კი კვლავ ჩადიან ამერიკაში. კვლავ დიდი სითბოთი და სიყვარულით ხვდებიან ამერიკელები თავიანთ მეგობრებსა და პაციენტებს.

მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მამა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

კიდევ ხუთი თვე და თითქმის ავიწყდებათ განცდილი და გადატანილი. მხოლოდ ვერ ივიწყებენ იმ სიკეთესა და კეთილშობილებას, რომელიც ამერიკელმა ხალხმა მათთვის გაიღო.

* *

იმდენად დიდი იყო მათთან შეხვედრის სურვილი, რომ დავით და

ალექსანდრე ასათიანები რედაქციაში მოვიწვიეთ.

სწორად აღნიშნავდა ამერიკელი ჟურნალისტი: „მამა-შვილი გარეგნულად გვანან ერთმანეთს... მაგრამ მათი ხასიათები განსხვავდებიან. დავითი — რესპუბლიკის საგარეოეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროს თანამშრომელი, გულღია და ენამოსწრებული მოსაუბრეა, ალეკო — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, უფრო დავდაჭერილია"...

● მამა-შვილი დავით და ალეკო ასათიანები.

● ჯონ ნაჯარიანი.

● ალეკო მინესოტას საავადმყოფოს მომსახურე პერსონალთან.

ვსხედვართ და ვსაუბრობთ.

ბატონი დავითი შეზავებული იუმორითა და სიტყვაუხვობით მოგვითხრობს უკვე წარსულად ქცეულ განცდილსა და გადატანილზე.

— დალევაც ძველებურად შემიძლია, — უმატებს ხუმრობით.

— დალევა არც ჩემთვის აუკრძალავთ, — არღვევს ჩვეულ სიდინჯეს ალეკო, — არც არავითარი დიეტა მჭირდება.

ხუმრობს მამა-შვილი... იცინიან და საოცრად გადამდებია მათი ეს განწყობა. გადამდები და ამაღლებული!

— მამას რომ დასჭირვებოდა შენი თირკმელი?! — ვეკითხები შვილს.

— ვეცდები ჩემში ვიპოვო იმდენი ძალა, ვალში არ დავრჩე მამას.

მამა კი ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე თავი ასწია და ლოცვასავით წარმოთქვა:

— თუ ჩვენი მაგალითი ერთადერთი და უპრეცედენტო შემთხვევაა მამა-შვილს შორის, დაე ასევე დარჩეს! და საერთოდ არც ერთ მშობელს არ ვუსურვებ მსგავსი თავგანწირვით მინიჭებულ „გმირობის ტიტულს"!

ნუნუ კუპრეიშვილი

ვიაჩესლავ პიეცუხი

ახალგაზრდა კაცი, გვარად კომნატოვი, ცოლს წაეჩხუბა. ჩხუბის მიზეზი კი ის იყო, რომ კომნატოვმა უარი თქვა სადგურში წასულიყო სიმამრის შესახვედრად, რადგან ისე სძულდა, ყოველ მის ჩამოსვლაზე ლამის კუჭი ეშლებოდა. ცოლმა ბევრ რამეში ცილი დასწამა ქმარს და ისეთი რამეებიც აკადრა, რაც განსაკუთრებით ცოლისაგანაა საწყენი.

კომნატოვმა ვეღარ გაუძლო და ყურები თითებით დაიცო, მაგრამ, როცა ცოლმა ორჯერ ჩასცხო ზურგში, საბოლოოდ გული მოუვიდა და აბაზანაში ჩაიკეტა. იქ ეჯვის თვალით ათვალიერებდა სარკეში საკუთარ თავს და მწარე გრძნობა ეუფლებოდა თავისი საცოდავი შეურაცხყოფილი ორეულის შემხედვარეს. ამ წუთებში იგი ცხოვრების უკუღმართობაზე ფიქრობდა. ფიქრობდა, რომ მისი ცოლი ისეთივე უცხო იყო მისთვის, როგორც იდეალისტური მსოფლმხედველობა.

აბაზანაში ათი წუთი დაჰყო, ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, რომ გუნება კიდევ უფრო წახდომოდა. უცებ ძალიან მოუნდა სადმე შორს გამგზავრებულიყო, სადაც ჯერ კიდევ ხელის ქნევით აცილებენ ფრინველებსა და მატარებლებს... საერთოდ იგი ერთობ მოუწესრიგებელი პიროვნება გახლდათ და ამიტომ ცხოვრებაში არცთუ ცოტა სისულელე ჰქონდა ჩადენილი.

კომნატოვი სახლიდან პირდაპირ სადგურისაკენ გაემართა. სალაროში ოდესისაკენ მიმავალ მატარებელზე აიღო ბილეთი, შემდეგ დიდ ხანს წრიალებდა კუპეში.

კუპეში ერთობ არასასიამოვნო საზოგადოებამ მოიყარა თავი. უჩვეულოდ დიდი ტვირთის მქონე დედაბერი კურსკამდე მიემგზავრებოდა. აქვე იყვნენ მოხუცი ცოლ-ქმარი. სადგურ ახალ ქარხანაში უნდა ჩასულიყვნენ. დედაბერი, ეტყობა, რაღაცაზე იყო გულმოსული, გამწარებით ჭამდა მჟავე კიტრს. ცოლ-ქმარი კი უაზრო საუბრით იყვნენ გართულნი. ამას ისიც დაემატა რომ, როცა კალუგას გასცდნენ, ტამბურში ორმა მეზღვაურმა იჩხუბა. ყველაფერმა ამან კომნატოვზე ძალიან იმოქმედა და ერთობ ნირწამხდარი ეკითხებოდა საკუთარ თავს: ნეტავ გამაგებინა, სად მივდივარ და რისთვისო, თანაც ავმა წინათგრძნობამაც შეიპყრო.

კომნატოვს გაახსენდა თავისი მყუდრო ბინა, მშობლიური სურნელი და, აგრეთვე, ფარდის იქით, აივანზე ფერად ალმებად მოფრიალე ცოლის ლიფები. სხვა ერთობ საყვარელი რამერუმეებიც. ძალიან მოუნდა შინ დაბრუნება, დივანზე ნებივრობა წიგნით ხელში, ყურთან კი ბუზებს ებზუილათ.

კომნატოვი ზემო საწოლზე აძვრა. ცოტა იბუზღუნა და მალე ჩაეძინა: „ბრიყვო, ნამდვილო ბრიყვო!" — ლანძღავდა ძილში საკუთარ თავს.

როცა გაეღვიძა, ჯერ კიდევ ღამე იყო, ფანჯრის იქით იშვიათი სინათლეები მოჩანდა, ვაგონი ქანაობდა, ჭრიალებდა. მას კი ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს გულზე მძიმე ლოდი დასწოლოდა. ასეთი შეგრძნება კი მაშინ გეუფლება, თუ სიზმარში ვინმე შემოგაკვდა. კომნატოვი მოუსვენრობისაგან ადგილს ვეღარ პოულობდა და პირველივე სადგურზე ჩავიდა.

სადგურს ახალი ქარხანა ერქვა. ვინაიდან ძალზე ადრე იყო, ბაქანზე არავინ ჩანდა. უკაცრიელმა, ცივი დილის მაუწყებელმა სივრცემ დამთრგუნველად იმოქმედა კომნატოვზე. იგი იდგა და იმ მხარეს იყურებოდა, სადაც ნაცრისფერ ღრუბლებში შემაშფოთებელი ფერის მზე ამოდიოდა და თავად მზეც, რომელიც არაფერ შუაში იყო, მტრად ეჩვენებოდა.

სადგურის შენობას რომ გაცდა, მაშინვე დიდი ქვებით ნაგებ მოედანზე აღმოჩნდა, მოედანი ნამისგან ისე ბრწყინავდა, თითქოს საგანგებოდ მოერწყოთ.

ირგვლივ არაჩვეულებრივი სისუფთავე და წესრიგი სუფევდა. ყველაზე გასაოცარი კი ის იყო, რომ მიუხედავად ადრიანი დილისა, მოედანი უკვე ცოცხლობდა. ცხენივით ნალდაჭედილი მამაკაცები მიმოდიოდნენ. ქალები ყველა გამვლელს უღიმოდნენ. აქა-იქ დედაბრები საუბრობდნენ. ფანჯრებიდან რიხიანი ხველა მოისმოდა. კომნატოვი განსაკუთრებით იმან გააოცა, რომ, რაც იქ იხილა, სრულიად განსხვავდებოდა სადგურის იქითა მხარეს ნანახისაგან. თითქოს ჯადოსნურ კარში გაეარა და უეცრად საოცარ სამყაროში აღმოჩენილიყო. მას აქაურობა მაშინვე მოეწონა, სევდაც განუქარდა და მოულოდნელობით გამოწვეულმა აღელვებამ შეიპყრო.

მართლაც: ვერ მოასწრო მოედანზე ფეხი შეედგა, რომ ერთი მამაკაცი სიგარეტით გაუმასპინძლდა. მეორემ ასანთი სთხოვა, ორმა ბურახის დასალევად მიიპატიჟა, ერთმა ფეხსაცმელის გაცვლაც კი შესთავაზა.

კომნატოვი უეცრად სამმა ბიჭმა შეაჩერა; ერთმა ხელი ჩაავლო და უთხრა: — შენ, ამხანაგო, ვისთან ჩამოხვედი!

კომნატოვმა უპასუხა. აქ სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდიო. შემდეგ მეორე, ჭორფლიანი ბიჭის კითხვას უპასუხა, რომელი ქალაქიდან იყო, სად მუშაობდა, ხომ არ იყო ვინმე გამოჩენილი პიროვნება. საბოლოოდ იძულებული გახადეს პატიოსანი პარტიული სიტყვა მიეცა, რომ ტყუილის თქმა არ ჰქონდა ჩვევად. ამის შემდეგ ჭორფლიანმა თქვა:

— მაშ, თუ ასეა, წამოდი, ჩვენს ღირსშესანიშნაობებს გაჩვენებთო.

კომნატოვმა მხრები აიწურა და დათანხმდა.

ბიჭებმა ჯერ იქაურ სასაფლაოზე წაიყვანეს, ისინი ამ ადგილს რატომღაც პატრიარქალურ საეკლესიო ეზოს უწოდებდნენ. კომნატოვს აქ ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველის ჩეხმოდურობის საფლავი აჩვენეს, რომელიც სრულიად გაუგებარი იყო თუ რა ბედმა გადმოაგდო ამ სიშორეზე. შემდეგ ორგვარიანი ქალის საფლავი, რომელიც სიყვარულის გამო მატარებელს შევარდნოდა, აგრეთვე სამლოცველო, სადაც მათი თქმით აჩრდილები ბინადრობდნენ. აჩვენეს კიდევ კასპიის ფლოტილიის მეზღვაურის მოვერცხლილი ძეგლი: ქალაქში ელექტროდენი გაჰყავდა და ადგილობრივმა კულაკებმა დახვრიტესო.

— ბავშვებო, ერთი ეს მითხარით, სკოლაში რატომ არა ხართ? — ჰკითხა მათ კომნატოვმა.

— ჩვენ არ დავდივართ სკოლაში, — უთხრა პირველმა ბიჭმა.

— ე. რას მასულელებთ, — გაოცდა კომნატოვი.

— არა. ჩვენ მართლა არ დავდივართ სკოლაში, — დაადასტურა ჭორფლიანმა. — არ გვინდა და არ დავდივართ. ჩვენთან ამ მხრივ თავისუფლებაა. რა თქმა უნდა, ვისაც უნდა. ის დადის. ჩვენ კი — არ გვინდა.

— მაშ, რას აკეთებთ? — ჰკითხა კომნატოვმა ხანმოკლე დუმილის შემდეგ.



ახალი ჭარხანა

— ვისაც რა უნდა, — უპასუხა პირველმა ბიჭმა. — მე მაგალითად გაგიჟებით მიყვარს კითხვა! ახლა „ლათინური ეპიტაფიკის შესავალს“ ვამთავრებ.

— მე კი არ მიყვარს კითხვა, — თქვა ჭორფლიანმა, რადგან წიგნებში ბევრი ტყუილი წერია. ხელმარჯვეობა მიტაცებს. იცით, რა ოსტატები ვართ მე და მამაჩემი?! რასაც გინდა, იმას ავაშენებთ.

— სად მუშაობს მამაშენი? — შეაწყვეტინა კომნატოვმა.

— ისე, უბრალოდ მუშაობს. გამიგეთ, ასეთი ხელობა აქვს. ახლა, მაგალითად, ჩვენი ელექტროსადგურისათვის წყალბადის რეაქტორს აშენებს.

— მამამისი მართლაც რომ დიდი ოსტატია. — დაადასტურა პირველმა ბიჭმა. — ლამის მთელი ქარხნის მაგივრობასა წევს. გასულ ხუთწლედში ისეთი წყალსადენი ააგო, რომ მოსკოვშიც არ იქნება ასეთი: წყალსადენია, თუმცა მილები არა აქვს.

— საინტერესოა! მაშ წყალი როგორ მიედინება? — გაუკვირდა კომნატოვს.

— წყალი არ მიედინება, — უპასუხა ჭორფლიანმა, — კონდენსირდება, თანაც მარილიანობის კოეფიციენტი პრაქტიკულად ნულის ტოლია.

— ოღონდ ეს არის, მამაშენის პირადი ცხოვრება არ მომწონს, — თქვა პირველმა ბიჭმა. — გაგონილა, მეშვიდედ ქორწინდება.

— აი ეს კი არაა ჩვენი საქმე, — უბოროტოდ მიუგო ჭორფლიანმა. — რამდენჯერაც უნდა, იმდენჯერ იქორწინოს. რა ჩვევა გაქვს ასეთი, ყველა გაკიცხო! იცი, რას ამბობდა მარკ ტვენი? არავის არა აქვს უფლება გააკრიტიკოს ადამიანი იმ საფუძველზე, რომელზეც თავად არ დგას პერპენდიკულარულად.

— ამით რა გინდა თქვა?

— მე მხედველობაში მაქვს აკიმოვა და პრეობრაჟენსკაია.

— ეს კი... ეს რა თქმა უნდა, — მშვიდობიანად დაეთანხმა პირველი ბიჭი.

მესამე ბიჭი კი ხმას არ იღებდა.

ლაპარაკ-ლაპარაკში შემდეგ ღირსშესანიშნაობამდე მივიდნენ, რომელიც აბანო აღმოჩნდა.

— აი ესეც ჩვენი აბანო, — თქვა პირველმა ბიჭმა. — აქ ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე ბანაობენ, მაგრამ შხაპს ერთად იღებენ, აი ასეთი აბანო გვაქვს, გესმით?

— და არა გრცხვენიათ? — შიშნარევად იკითხა კომნატოვმა.

— აბა, რა არის აქ სასირცხვილო, — თქვა ჭორფლიანმა, — სხეული სხეულია. ბავშვობიდანვე ვეჩვევით იმას... ალბათ, გასაგებია რას, შემდეგ ამის გამო უკვე აღარ არის აუიოტაჟი.

აბანოს შემდეგ ეკლესია დაათვალიერეს, შემდეგ კი სახლი, სადაც მათი თქმით, ცნობილი მეამბოხე სავინკოვი იყო ხოლმე სტუმრად. აგრეთვე სახლი, რომელიც გადამდგარ მინისტრს ეკავა. კომნატოვის შეკითხვაზე, რატომ დასახლდა აქ ყოფილი მინისტრიო, პირველმა ბიჭმა უპასუხა:

— აიღო და დასახლდა. ასე ამბობს, ცხოვრების მიწურულს მინდა ბედნიერ ხალხში ვიცხოვროო. და მისი თქმით, ჯერ არსად უნახავს ამდენი ბედნიერი ხალხი, როგორც აქ, ახალ ქარხანაში.

— მაგრამ ერთობ თავი მოგვაბეზრა, — დაუმატა ჭორფლიანმა, — ყოველი შემთხვევის გამო, სიტყვას ამბობს: „შრომაა საჭირო, მეგობრებო, პატიოსანი შრომა!“

რა თქმა უნდა, მასხრად იგდებენ. ზოგჯერ სიტყვას აწყვეტინებენ! „აბა, რა საჭიროა შრომა, ამხანაგო ყოფილო მინისტრო?“. „როგორ თუ რატომ, — ამბობს იგი, — იმისათვის რომ მატერიალური დოვლათი შევქმნათ...“ ჩვენები ისევ იცინიან.

— მოიცა, — შეაწყვეტინა კომნატოვმა, — მაგრამ მამაშენიც ხომ მუშაობს. ესე იგი, მასაც დასცინიან.

— მამაჩემი საკუთარი სიამოვნებისათვის მუშაობს. რა არის აქ დასაცინი...

— ბიჭებო, მე რაღაც არ მესმის, თუკი თქვენთან არავინ არ მუშაობს, მაშ როგორ ცხოვრობთ? — იკითხა კომნატოვმა.

— აი, როგორ ვცხოვრობთ! — პირველმა ბიჭმა ცერი აჭიმა. — ჩვენთან, აქ, ნამდვილი ნათელი ცხოვრებაა პიროვნების პატივისცემაზე დამყარებული. სხვაგან ჯერ აქამდე ვერ მისულან და ამიტომაა, რომ ზოგიერთები ჩვენს ცხოვრებას ისე უყურებენ, როგორც ცხვარი ახალ ჭიშკარს.

კომნატოვი ამ სიტყვებმა მწარედ გაჰკენწლა, თუმცა არ შეიმჩნია.

— მე ასეთ დებულებას ვაყენებ, — დაუმატა ჭორფლიანმა. — საბჭოთა ხელისუფლება პლიუს პიროვნებისადმი პატივისცემა უდრის ჩვეულებრივ ნათელ ცხოვრებას. სწორედ ამიტომაა ჩვენთან ასეთი გულკეთილი ხალხი და შრომაც სულიერ მოთხოვნილებადა აქვთ გადაქცეული.

— იცით რა, ბიჭებო, — თქვა კომნატოვმა, — შესაძლებელია ეს კარგიც არის, მაგრამ მგონი, რაც აქ ხდება, ნაადრევი უნდა იყოს.

— რა თქმა უნდა, ნაადრევია! — დაეთანხმა ჭორფლიანი, მაგრამ ძალიან გვინდა კარგი ცხოვრება!..

საუბარი დროებით შეწყდა და კომნატოვი შეეცადა გაეაზრებინა ყველაფერი, რაც ბიჭებმა უთხრეს. ერთი კი ცხადი იყო, ახალ ქარხანაში არაჩვეულებრივი, საოცარი ცხოვრება სუფევდა, რომელსაც მოზარდები არათუ იზიარებდნენ, არამედ, რაც სავსებით ბუნებრივია, ყოველმხრივ მხარსაც უჭერდნენ. თუმცა, როგორც წესია, ისინი ყველაფერს როდი იზიარებენ და კომნატოვმა, რადგან წესიერად ვერ გაერკვა აქაურ ცხოვრებაში, ისეთი უნდობლობა იგრძნო მათდამი. როგორსაც ხშირად ჩვეულებრივი მოკვდავები „ცხოვრების რჩეულთა“, გმირებისა და ბრძენთა მიმართ გრძნობენ ხოლმე.

კომნატოვს ძალიან მოუნდა სახლში დაბრუნება. გადაწყვიტა დაუყოვნებლივ სადგურზე წასულიყო და ბიჭებსაც უთხრა ამის შესახებ.

მისმა გადაწყვეტილებამ ბიჭები სრულიადაც არ გააკვირვა.

— აი, ეს გაგაცილებს, — უთხრა ჭორფლიანმა და ხელით მდუმარეზე აჩვენა. — ერთად გაგაცილებდით, მაგრამ საქმეზე გვიჭირდება.

კომნატოვმა ბილეთი იყიდა, ბაქანის შორეულ კუთხეში მდგარ სკამზე ჩამოჯდა და ლოდინისათვის განეწყო. მდუმარეც გვერდით ჩამოუჯდა.

— მოსკოვში დეიდაჩემი ცხოვრობს, — უეცრად ხმა ამოიღო ბიჭმა, — უფრო სწორად მონინოში, მაგრამ ეს იგივეა. მოსკოვში ცხოვრობდე. — ისევ დადუმდა ბიჭი და შორეულ სვედიანი მზერა მიაპყრო

ბიჭები მაინც მოვიდნენ კომნატოვის გასაცილებლად, დაეჭვებით შეხედეს თავის მეგობარს. კომნატოვს კი შოთხვის თაიგული გაუწოდეს და, როცა მატარებელი დაიძრა, დიდხანს უქნევდნენ ხელს, ვიდრე გულისამაჩუყებელ მრავალწერტილებად არ გადაიქცნენ.

„მაინც რა საოცრებაა ცხოვრება, — ფიქრობდა კომნატოვი, თავის ზემო საწოლზე წამოწოლილი, — სიმამრს რომ არ დაეპირებინა ჩამოსვლა და ცოლს არ წაჩხუბებოდა, რის გამოც სახლიდან მოუხდა წასვლა, ვერასოდეს გაიგებდა, რომ მისი მშობლიური მარყუჟკერიიდან ას ორმოცდაათი კილომეტრის მოშორებით ხალხი სრულიად სხვაგვარად ცხოვრობს...“ და აი რა არის საინტერესო: ცოტა მოგვიანებით იგი უკვე იმაზე ფიქრობდა, რომ ეს სხვაგვარობა სინამდვილეში ერთობ მიმზიდველი იყო და ახალ ქარხანაში მართლაც რომ ნათელი ცხოვრება სუფევდა მისი მშობლიური მარყუჟკერიისაგან განსხვავებით.

ყველაფერს ემატებოდა ისიც, რომ იქ ბრიყვი სიმამრი და ახალი უსიამოვნებები მოელოდა, უკეთეს შემთხვევაში კი, მხართეძოზე წოლა. კომნატოვი, რატომღაც საეჭვოდ მდუმარე ბიჭის ნათქვამმა დააფიქრა, მაგრამ ეს ნერვიული აზრი იყო. უცებ ძალიან მოუნდა ჩასვლა და უკან დაბრუნება. „ბრიყვი, — ლანძღავდა საკუთარ თავს, — ნამდვილი ბრიყვი!..“

მატარებელმა სვლას უკლო და მალე გაჩერდა კიდეც. კომნატოვმა ფანჯარაში გაიხედა, რომ გაეგო სადგურის სახელწოდება: სადგურს ახალი ქარხანა ერქვა.

თარგმნა
სულხან ჯორჯანელმა



ფოტო გოგი ცაგარელისა



იქნა მიწისძვრა დიდი

კვლავ მსხვერპლი. ცრემლი...

დმერთო გვაკმარე!

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲔᲡᲮᲘ

ფოტო მიხეილ კვირიკაშვილის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის ნყლული აჩნდა ნყლულად

წვიმს...

ნისლი წევს თბილისის ცაზე...

საშინელი ნისლია...

ფუნიკულიორის ანძა ძლივს მოჩანს.

წვიმს, ძალიან არა, წვრილად ცრის, ქუდმოხდილი თავები მუქად ლაპლაპებენ წყლისგან, ნისლში კარგად ჩანს სველი თავები.

საოცარი სიჩუმეა ქალაქში, ასეთი ჩუმი ჯერ არ მახსოვს თბილისი. ხალხი, ხალხი, ხალხი... და სამარისებური სიჩუმე...

ფანჯარასთან ვდგავარ... ალვის ხეზე ყვავი ზის. ვუყურებ და ვფიქრობ: როგორ მივწერო თამუნას, რომ მერაბ კოსტავა დაილუპა?! თამუნა ამერიკაშია ახლა. იქნებ სულ არ მივწერო? მაინც გაიგებს! ისევ ჯობია, ჩემგან გაიგოს...

ყვავი მიფრინავს, წვიმაში მიფრინავს.

თამუნას მუსიკას ასწავლიდა ბატონი მერაბი. ძალიან მიყვარდა, ერთხელ ვთხოვე კიდეც, დღიურში ხელი მომიწერეთ-თქო, მომიწერაო. მახსოვს, თამუნა მიყვებოდა ამას.

ხალხი ზღვასავით ბორგავს... ახლა კუბო უნდა ჩამოატარონ...

როგორ უაზროდ დაილუპა?! — თავს აქნევს დასარეკად შემოსული მეზობელი.

ვერ ვტირი. მინდა ვიტირო, მაგრამ ცრემლი თითქოს დამელია, დამეწრიტა... ვერ ვტირი... უცრემლო დარდი სიტყვებად, რითმებად მილაგდება: „როგორ მოტეხილა ხატულა თბილისი, თითქოს დახრილ თავზე ნისლმა დააწვიმა... გაჩუმდით, ქალებო! იყუჩეთ, ბერებო! აცალეთ ტირილი, აგლოვეთ მთაწმინდა...“

— მიხურე ფანჯარა, გოგო, გაიყინა აქაურობა! — მეუბნება ბებიაჩემი. ფანჯარას არ ვხურავ. საოცრად მინდა იქ ვიყო ახლა, ქვემოთ, იმ ხალხში, ჩემს ხალხში, მგლოვიარე ხალხში.

— არა, არა, მთაწმინდაზე არ უნდა დაესაფლავებინათ! რაღა მთაწმინდაა. ყველა იქ აყავთ! — ამბობს ჩემი მეზობელი და თან რეკავს... არაფერს ვეუბნები. არ ვეუბნები, იმიტომ რომ ვიცი: ასეთი ქართველები ყოველთვის იყვნენ. არიან და იქნებიან საქართველოში... ვიცი, რომ ეს ასეა, მაგრამ მაინც მწყინს.

ხალხი ჩოჩქოლს იწყებს, იყოფა. ვხედები, კუბოს მოასვენებენ... როგორ მინდა ქვევით ვიყო! გარეთ არ მიშვებენ: „ბევრი ხალხია, გაიჭყლიტები. ვინ იცის, რა მოხდება, ეს უსისხლოდ არ გათავდება, ბავშვი სახლში უნდა იყოს, ფანჯრიდან უყურე“...

ეი, უკვე ვხედავ დახრილ დროშებს, დიდ სურათს, რომელიც წინ მოაქვთ... „დახარეთ ლამაზი სამფერა დროშები, მოაკლეთ ცოტა ხანს ჰაერში ფრიალი. ჩაფალით სხეული, მაგრამ სულს აცალეთ ღვთისმშობლის მიწაზე ჩუმად ხეტიალი“.

— გადამრეკეს ეს ტელეფონები! — ჯავრობს ჩემი მეზობელი, — ერთი საათია ვრეკავ. რა უპასუხისმგებლო ხალხია! არავის აღარ უნდა მუშაობა! მარტო „გაუმარჯოს“ ყვირილი უნდათ. ყვირილით აშენდება ეს ქვეყანა? ვინ დგას აბა მიტინგებზე! მოცლილი, უსაქმური ხალხი. ვისაც მუშაობა ეზარება!

შავჩოხა კაცები მოდიან წინ. ხანჯლებზე უდევთ ფართო ხელები.

წვიმს...

საქართველოს ცა უკანასკნელ ცრემლს აპკურებს თავის შვილს. მისი შვილი შორ გზას ეშურება. ზვიად გამსახურდიას ველარ ვცნობ. მთლად გაფითრებული, მხარმოტეხილი, გაშეშებული... ვერ ვცნობ ზვიად გამსახურდიას...

ქალის ტირილი ისმის: ყრუ, მოგუდული, თითქოს ეშინია, რომ თავისი ტირილით დაარღვევს დიდ, შემზარავ სიჩუმეს... სიჩუმეს, რომელსაც ერის გლოვა ჰქვია... „აანთეთ სანთლები! ირწმუნეთ, დედებო: წმინდანის ნათელი გარს შემოადგება! არ შედრკეთ, მეგზურნო: გზა გაკაფულია... იტირებს ქართველი და ფეხზე დადგება!“...

წვიმს...

— მოყავთ? — მეკითხება ბებიაჩემი, თავს ვუქნევ, იმიტომ რომ ვიცი: ხმას ვერ ამოვიღებ.

— კარგად აბა, თინა, თქვენი ტელეფონიდანაც არ გადის!.. მოყავთ უკვე? გადამახედე ერთი.

მე ვცილდები ფანჯარას და ოთახში გავდივარ... უყურონ, უყურონ, როგორი უსუსურია სხეული სულის გარეშე... უყურონ იმას, რასაც ადრე მერაბ კოსტავა ერქვა. ახლა? ახლა იგი მიცვალებულია... მიცვალებული... ვერ ვიჯერებ. ვერ ვიჯერებ. ვერ წარმომიდგენია.

რატომღაც მახსენდება ილია II-ის სახე 9 აპრილის ღამეს... „შეხედეთ ალმართზე შეფენილ სახეებს! ეს საქართველოა! ეს მთელი ერია! შავს ნუ გაიკარებთ. უტეხო ვაჟკაცნო, რისთვისაც ეწამა, ის შინდისფერია...“

შუქი არაა და სიბნელეში ვზივარ. ვხვდები, რომ ძალიან მეშინია. ვგრძნობ, რომ მთელი ტანით ვკანკალებ.

ოთახში ჩუმი მეზობელი შემოდის.

— ჩაატარეს უკვე, — მეუბნება და სიგარეტს უკიდებს. — სადაა დედაშენი? თავით ფანჯრისკენ ვანიშნებ.

ჩემი მეზობელი ხვდება და თავს მიქნევს.

— წავედი აბა მე. საღამოს შეგაწუხებთ კიდევ. ჩემი მაზლიშვილის დაბადების დღისთვის საცივი მაქვს გასაკეთებელი, ნიგოზს იცით, რა ძვირად ყიდიან? რა ვქნა, არ ვიცი პირდაპირ.

მეც არ ვიცი, რა უნდა ქნას ჩემმა მეზობელმა, რომელსაც საცივი აქვს გასაკეთებელი, მაგრამ ნიგოზი ეძვირება.

მე ძალიან მცივა... „რა ძნელად ვპოულობთ ამ ჭეშმარიტებას: თავისი ცხოვრებით მან ჩვენვე გაგვწმინდა... გაჩუმდით, ქალებო! იყუჩეთ, ბერებო! აცალეთ ტირილი, აგლოვეთ მთაწმინდა“...

ისევ ფანჯარასთან ვდგები... ხალხი არ მიდის, ხალხი დგას. ძალიან მინდა, ქვემოთ ვიყო ახლა.

წვიმს.

ნისლი წევს თბილისის ცაზე... საშინელი ნისლია, ფუნიკულიორის ანძა ძლივს მოჩანს...

საწოლზე ვემხობი და ხმამაღლა ვქვითინებ...

თამრიკო გუნაშვილი,
თბილისის 55-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე

ლავრენტი ბერია, რომელიც ბოლო დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, 1953 წლის 26 ივნისს დააპატიმრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე. ამ სხდომის ოქმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის არქივში არ აღმოჩნდა. 1953 წლის 29 ივნისს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ბერიას დანაშაულებრივ ანტიპარტიულ და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებათა შესახებ". სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენით, მას მიესაჯა დახვრეტა, რაც იმავე დღეს, 1953 წლის 23 დეკემბერს აღსრულდა და მოყვანილ იქნა სისრულეში.

მაგრამ, ეს იყო მერე. მანამდე კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც „ბერიას საქმე" განიხილა, იგი დამნაშავედ სცნო, როგორც „საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი", რამეთუ ისწრაფოდაო „საბჭოთა მუშურ-გლეხური წყობის ლიკვიდაციისაკენ კაპიტალიზმის რესტავრაციისა და ბურჟუაზიული ბატონობის აღდგენის მიზნით". ბერიას რეპრესიული პოლიტიკის საკითხები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოჩენილი არ ყოფილა. იმათ, ვინც მას სასიკვდილო განაჩენი სასამართლომდე გამოუტანა, თავად აქვთ გასვრილი ხელები უდანაშაულო ადამიანთა სისხლში. მანამდეც, მასთან ერთად, შემდგომშიც, ესე იგი უმისოდაც.

მკითხველს ვთავაზობთ „ბერიას საქმის" აქამდე უცნობ დოკუმენტურ მასალას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 2-7 ივლისის პლენუმის სტენოგრაფიული ანგარიშიდან.

ამ მასალას 38 წელია ადევს გრიფი: „სრულიად საიდუმლოდ ასლის გადაღება აკრძალულია დასაბრუნებელია სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის კანცელარიაში".

სტენოგრაფიული ანგარიში გამოქვეყნდა (ჟურნალი „იზვესტია ცკ კპსს", № 1 და № 2, 1991 წელი).

ახლა ვნახოთ, თუ სად არის მითი და სად ყოფილა სინამდვილე.

ვინ არის ვინ

შიშს დიდი თვალები აქვს. ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც იმ დროს პრეზიდიუმის (ადრინდელი და შემდეგდროინდელი პოლიტბიურო) წევრი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო, აგრეთვე იმდროინდელ „სხვებს", ხალხის რისხვის ეშინოდათ საკუთარი დანაშაულებრივი წარსულის გამო, მაგრამ ბერიას შიში კიდევ უფრო მეტი იყო. საკუთარი დანაშაულის დაფარვა იყო საჭირო, ხოლო ყველაფრის სხვისთვის გადაბრალება კი უცილობლად მოითხოვს ცოცხალი მოწმის თავიდან მოშორებას.

ასე დაიწყო უკვე დაპატიმრებული ბერიას პოლიტიკური სასამართლო.

მაშ, ასე.

2 ივლისი, 1953 წელი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

სტენოგრაფიული ანგარიში.

მე ყურადღებით, სტრიქონ-სტრიქონ, თავიდან ბოლომდე, ალაგ-ალაგ რამდენჯერმეც კი ვკითხულობ ამ დოკუმენტურ მასალას, რომელშიც ფიქსირებულია საბჭოთა კავშირის მაშინდელი უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელების მიერ წარმოთქმული სიტყვები და, მართალი გითხრათ, გაოცებას ვერ ვფარავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავრენტი ბერია — ეითი და სინამდვილე

„სრულიად საიდუმლოდ ასლის გადაღება აკრძალულია დასაბრუნებელია სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის კანცელარიაში“

მე მაოცებს მათი გამოსვლების ერთფეროვნება, აზრის სიღატაკე, მათი წვრილმანი კაცობა, მოტანილი ფაქტების უსუსურობა და ისიც, რომ იხტიბარს არ იტეხენ, ვაჟკაცობენ კიდეც, რაც ცოტა არ იყოს, სასაცილოცაა ხოლმე, მაოცებს ის შიში, რომელიც გამოჰყოლიათ და, რომელსაც ვერც კი ფარავენ მაშინაც, როცა უკვე „გაუვნებელ“ ბერიაზე ლაპარაკობენ, მაოცებს წაყენებული ბრალდებების ზერელობა და მათი დაუსაბუთებლობა, განსაკუთრებით კი ის, რომ მათ ფონზე და მათთან შედარებით „საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი“, მათივე სიტყვებიდან გამომდინარე და მათ მიერვე მოტანილი მაგალითების მიხედვით, თურმე ბევრად უფრო საღი და გაბედული აზრების მატარებელი ყოფილა.

ახლა რომ საქმეს ვაკვირდები, ასე მგონია, ბერიას მიმართ წაყენებული ბრალდებები თავად მბრალმდებლებს უფრო ამტყუნებენ და ადანაშაულებენ კიდეც, ხოლო რაც შეეხება ბრალდებულს, ერთად დავაკვირდეთ იმას, თუ სად არის მითი და სად სინამდვილე, მანამდე კი, ის გავარკვიოთ, თუ ვინ არის ვინ.

„ხრუშჩოვი. განვდევნეთ რა ბერია, ჩვენ, ამხანაგებო, კიდევ უფრო ძლიერები გავხდით, მინდა ასეთი დეტალი მოვიტანო. როცა სხდომის დაწყების წინ ამხანაგ მალენკოვმა ამ საქმის შესახებ ამხანაგ ვოროშილოვს უთხრა, ამხანაგი ვოროშილოვი, რომელიც პარტიის უხუცესი წევრია, ამხანაგ მალენკოვს გადაეხვია. ამასთან, ამხანაგმა ვოროშილოვმა გააფრთხილა ამხანაგი მალენკოვი: „ჩუმად, იგი ფარულად გვიგდებს ყურს“... აი რა პირობები შეგვიქმნა მან (ე. ი. ბერიამ) პრეზიდიუმში! მოხდებოდა ხოლმე, როცა ვინმე იტყოდა: „სწორია ლავრენტი პავლეს ძევ“, თითონ კი მალულად გადააფურთხებდა“.

არადა, გ. მ. მალენკოვი მაშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, ხოლო კ. ე. ვოროშილოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ცხადია, ასეთი „დეტალის“ მოტანა არ ამშვენებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებს, მაგრამ ისინი ამას, სამწუხაროდ, ვერ გრძნობენ. ვერ იგრძნო ეს ვერც ნ. ა. ბულგანინმა, რომელიც მაშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და თავდაცვის მინისტრი იყო.

„ბულგანინი. ჩვენ ვითმენდით ბერიას ჩვენს წრეში. მეტიც, მოჩვენებითი პატივისცემით ვეპყრობოდით მას“.

მე მიკვირს, რატომ ვერ გრძნობს ამ სიტყვების ავტორი, რომ „მოჩვენებითი პატივისცემა“, იგივე სიყალბეა და ამიტომ ელემენტარული უზნეობა, ხოლო, უზნეობა უზნეობას ვერ გაასამართლებს და ვერც განაჩენს გამოუტანს.

არც ის არის მაინცდამაინც ზნეობრივი, როცა კაცს ყველაფერს დააბრალებ, დაწყებული ხორცით მომარაგებაში გამოწვეული სიძნელეებიდან და კარტოფილით ან ქაშაყით დამთავრებული, ხოლო ვერაფრით ვერ მოაბამ თავს იმას, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მაშინდელ წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრს ა. ი. მიკოიანს დაემართა, რომ სიცხადე და გარკვეულობა შეიტანო სავსებით კონკრეტულ საკითხში: მართლა მუშაობდა თუ არა ბერია 1919-1920 წლებში მუსავატისტთა კონტრდაზვერვაში. კი, ან არა, ან არ ვიცი. ამაზე ადვილი რა უნდა იყოს?

„მიკოიანი. ადრე მე დასაშვებად მივიჩნევდი, რომ შესაძლოა, როგორც რიგითი მუშაკი, სხვებთან ერთად გაიგზავნა კიდეც. მაგრამ, ახლა, როცა ფაქტები გავარჩიე, ძალზე მეეჭვება“.

საქმე შემდეგშია. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1937 წელს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მაშინდელმა მინისტრმა გ. ნ. კამინსკიმ ბერია ამხილა იმაში, რომ იგი „ბაქოში მუშაობდა ბურჟუაზიული მთავრობის კონტრდაზვერვაში“. ამაზე ბერიამ უპასუხა რომ, პირიქით, იგი თითონ იყო პარტიის მიერ შეგზავნილი მუსავატისტებთან არალეგარული მუშაობისათვის.

მაგრამ, ეჭვი ეჭვია. იგი მტკიცება არ არის. უზნეობაა ისიც, როცა კაცი ვისმეს რაიმეში ბრალს დასდებს და, დასდებს ისე, რომ მტკიცების საფუძველი არ გააჩნია.

ასეა ეს.

მანამდე კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას გა-

ნაგრძობს და ორატორები ერთმანეთს ცვლიან. ტრიბუნაზეა ა. ა. ანდრეევი. იმ დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, რომელიც, სხვათა შორის, ერთ-ერთ გამომსვლელს შეეკამათა კიდეც იმის გამო, რომ მან ბერიას ჭკუამოკლე უწოდა და სიტყვა-სიტყვით განაცხადა: „არა, ამხანაგებო, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ მისი ნიჭიერება და არც მის მიერ მოყენებული ვნება. ეს იყო ჭკვიანი, ძალზე მოხერხებული მტერი". მაგრამ, ეს არ არის მთავარი. მას, თურმე, სხვა რამ უფრო აწუხებს. აღმოჩნდა, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს 1953 წლის 9 მაისს მიუღია დადგენილება „სახელმწიფო სადღესასწაულო-საზეიმო დღეებში დემონსტრანტთა კოლონებისა და საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციების შენობების გაფორმების შესახებ". დადგენილება ითვალისწინებდა დემონსტრაციების ხელმძღვანელთა პორტრეტების გარეშე ჩატარებას, აგრეთვე საჭიროდ არ თვლიდა შენობებზე მათ გამოკიდებას.

„ანდრეევი. მე ვთვლი, რომ მისი (ე. ი. ბერიას) გავლენის გარეშე არ ყოფილა მიღებული ასეთი დადგენილება. რომელიც ჩვენ ოქმში წავიკითხეთ იმის შესახებ, რომ დემონსტრაციები ჩავატაროთ პორტრეტების გარეშე, არ გამოვაკრათ პორტრეტები. რატომ? რის საფუძველზე? ხალხი უნდა იცნობდეს თავის ბელადებს პორტრეტებით, გამოსვლებით. ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება". მას უმალ გამოეხმაურა პრეზიდიუმში მჯდომი კაგანოვიჩი: „ანდრია ანდრიას ძევ, ეს გადაწყვეტილება, როგორც არასწორი, გაუქმებულია (მჭუხარე ტაში)".

ცხადია, მე არ ვიცი და არც მაინტერესებს, იყო თუ არა ანდრეევი იმათ შორის, ვისი პორტრეტებიც გამოჰქონდათ დემონსტრანტებს, მაგრამ თუ ასეთი დადგენილების მიღების ინიციატორი მართლაც ბერია იყო, მაშინ სწორი ყოფილა მოლოტოვი, როცა თავის გამოსვლაში სთქვა, რომ „შეუძლებელია მისი (ე. ი. ბერიას) ორგანიზატორული ნიჭის უარყოფა, რამაც თავი იჩინა რიგი სამეურნეო ღონისძიებების ჩატარებაში. პარტიას არ შეეძლო არ გამოეყენებინა ეს ნიჭი, როცა იგი საჭირო დავალებების შესრულებისაკენ იყო მიმართული".

ასეა თუ ისე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კვლავ განაგრძობს მუშაობას და „ბერიას საქმე" თანდათან ივსება სულ უფრო და უფრო მეტი „მაკომპრომეტირებელი" მასალით.

ამჯერად, ჩემი ყურადღება „ბერიას საქმესთან" დაკავშირებულ საერთაშორისო საკითხებისკენაა მიმართული, მაგრამ არ მავიწყდება არც ის, თუ ვინ არის ვინ.

საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი

ჩემი ყურადღება, უმთავრესად იმან მიიპყრო, რომ იარლიყი „საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი" ყველაზე უფრო თვალში საცემი და პოპულარული აღმოჩნდა. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ორატორი, რომელსაც ამისათვის გვერდი აევლოს და არ ეთქვას, რომ ბერია ჯაშუში და საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტიაო. მაგრამ, ყველაზე უფრო საინტერესო ის არის, რომ ყოველივე ამას თან ახლდა საოცარი დასაბუთება — შეფასება, ხოლო მოტანილი ფაქტების ანალიზიდან გაკეთებული დასკვნები თავად მბრალმდებელი ორატორების წინააღმდეგ ღაღადებენ. მოვუსმინოთ მათ და მერე ჩვენი დასკვნები გამოვიტანოთ, აქაც გამოჩნდება, თუ ვინ არის ვინ.

„ხრუშჩოვი. ყველაზე ნათლად ბერიამ, როგორც პროვოკატორმა და იმპერიალისტების აგენტმა თავი აჩვენა გერმანიის საკითხის განხილვისას. როცა მან დასვა საკითხი იმის თაობაზე, რომ უარი გვთქვა გდრ-ში სოციალიზმის მშენებლობაზე და დასავლეთის მიმართ დათმობებზე წავსულიყავით, ეს იმას ნიშნავდა, რომ გადადგეცა 18 მილიონი გერმანელი ამერიკელი იმპერიალისტების ბატონობაში. ის (ე. ი. ბერია) ამბობდა: „უნდა შევქმნათ ნეიტრალური დემოკრატიული გერმანია". განა შესაძლებელია იყოს დემოკრატიული ბურჟუაზიული გერმანია ნეიტრალური? შესაძლებელია კი ეს? ბერია ამბობდა: „ჩვენ ხელშეკრულებას დავდებთ". აბა, რად ღირს ეს ხელშეკრულება? ჩვენ ვიცით ხელშეკრულების ფასი. ხელშეკრულებას მაშინ აქვს ძალა, როცა ის გამაგრებულია ზარბაზნებით. ხელშეკრულება, თუ ის ძალით არ არის გამაგრებული, იგი არაფრად არ ღირს. ჩვენ დაგვციინებენ, გულუბრყვილოებად ჩაგვთვლიან. მაგრამ, ბერია არ არის გულუბრყვილო, არც ბრიყვი, ხულელი. იგი ჭკვიანია, ეშმაკი და დაუნდობელი. იგი იქცეოდა არა როგორც კომუნისტი, არამედ როგორც პროვოკატორი. ეშმაკმა უწყის, შესაძლოა, იგი იღებდა დავალებებს უცხოელი დაზვერვების რეზიდენტებისაგან".

ეს საკითხი, თავის დროზე, საგანგებო მსჯელობის საგანიც გამხდარა მთავრობაში. იგი სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში იხილებოდა. სხვებისაგან განსხვავებით, ბერიას თავისი გამოკვეთილი პოზიცია ჰქონდა, რომელსაც არ მალავდა. ცხადია, ამის შესახებ ითქვა პლენუმზეც და გდრ-ის ყოფნა-არყოფნის ბერიასეული ვარიანტი თავისთავად დაუკავშირდა მისი „აგენტობის" საკითხს. საქმისათვის რომ ასეთი მიმართულება მიეცათ, არაფრის გამოგონება არ იყო საჭირო. საკმარისი იყო იმის უბრალო გამეორებაც, რასაც ბერია დაუფარავად და გაბედულად ამბობდა.

„მოლოტოვი. მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმში გერმანიის საკითხის განხილვისას გამოაშკარავდა, რომ ბერია ჩვენი პარტიისათვის სრულიად უცხო პოზიციებზე დგას. მაშინ მან ლაპარაკი წამოიწყო იმაზე, რომ არაფერი საჭირო არ არის აღმოსავლეთ გერმანიაში სოციალიზმის მშენებლობას ვეწეოდეთო, რომ ხაკმარისი იქნება ისიც, დასავლეთი და აღმოსავლეთი გერმანია გაერთიანდეს, როგორც მშვიდობისმოყვარე ბურჟუაზიული სახელმწიფო... ამ საკითხზე ბერიას მიერ შემოტანილ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების პროექტში შემოთავაზებული იყო წინადადება — მიჩნეული იქნას „მცდარად ახლანდელ პირობებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობაზე აღებული კურსი". ამასთან დაკავშირებით შემოტანილ იქნა წინადადება, რათა „ხელი აგვეღო ახლანდელ პირობებში გდრ-ში სოციალიზმის მშენებლობის კურსზე". ამის მიღება ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვეძლო".

ცხადია, არ შეეძლოთ. ბერიას კი, ვ. მ. მოლოტოვისაგან, რომელიც იმ დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, განსხვავებული აზრი ჰქონდა. ეს მას არც დაუმალავს, ფარულად არაფერი გაუკეთებია. პირიქით, დადგენილების პროექტიც შეუდგენია და განსახილველადაც შეუტანია, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ, მხარის დამჭერი არავინ აღმოჩნდა. სოციალიზმის მშენებლობის ბედს, საღი აზრი კი არა, სამხედრო ძალა სწყვეტსო. ასე ფიქრობდა, ყოველ შემთხვევაში, მაშინ საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობა.

„**მალენკოვი.** ჩვენ ვალდებული ვიყავით ბეშმარიტებისათვის თვალი გაგვეხწორებია და გვეღიარებია, რომ საბჭოთა ჯარების გარეშე გდრ-ში არსებული რეჟიმი არ არის მყარი, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა გდრ-ში ამჟამად უკიდურესად საეჭვოა... გერმანიის საკითხის განხილვისას ბერია წინადადებას იძლეოდა კი არ გამოგვეხწორებია სოციალიზმის ფორსირებული მშენებლობის კურსი, არამედ უარი გვეთქვა გდრ-ში სოციალიზმის ნებისმიერ კურსზე და კურსი ბურჟუაზიულ გერმანიაზე აგვეღო“.

მოსკოვი წყვეტდა საკითხს, თუ რა გზითა და კურსით ევლო გერმანელ ხალხს, რა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა აერჩია.

„**ბულგანინი.** ამხანაგ მალენკოვისა და ამხანაგ მოლოტოვის გამოსვლებიდან თქვენ მოიხსენიეთ, რომ საკითხი იდგა, თუ რა გზით წავსულიყავით ჩვენ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცების, ესე იგი სოციალიზმის გზით, თუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიკვიდაციისა და ბურჟუაზიული გერმანიის შექმნის გზით. ბერია ამ უკანასკნელის თვალსაზრისზე იდგა. პრეზიდიუმის წევრები ბერიას წინააღმდეგ გამოვიდნენ“.

მაგრამ „ბერიას საქმე“ ამით არ ამოწურულა და მისი საერთაშორისო მასშტაბის „ჯაშუშობას“ კიდევ ერთი ასპექტი აღმოაჩნდა. კერძოდ.

„**მალენკოვი.** გასულ კვირას, იმის წინადღეს, როცა ჩვენ გადავწყვიტეთ ბერიას საკითხის ცკ-ს პრეზიდიუმში განხილვა, იგი ჩემთან მოვიდა წინადადებით, რათა შსს-ს მეშვეობით გადაგვედგა ნაბიჯები იუგოსლავიასთან ურთიერთობის ნორმალიზებისათვის. მე მას განვუცხადე, რომ საჭიროა ამ საკითხის ცკ-ში განხილვა. რა წინადადება იყო ეს? ამჟამად ამოღებულ ბერიას მასალებში არის შემდეგი დოკუმენტი: „ვსარგებლობ შემთხვევით, რათა გადმოგცეთ თქვენ, ამხანაგო რანკოვიჩ, დიდი მოკითხვა ამხანაგ ბერიასაგან, რომელსაც კარგად ახსოვხართ თქვენ. ამხანაგმა ბერიამ დამავალა მე, სავსებით კონფიდენციალურად გაცნობოთ პირადად თქვენ, რომ იგი და მისი მეგობრები ორივე ქვეყნის ურთიერთობის ძირეული გადახედვისა და გაუმჯობესების მომხრენი არიან. ამასთან დაკავშირებით, ამხანაგი ბერია გთხოვთ პირადად აცნობოთ ამის შესახებ ამხანაგ ტიტოს და, თუ თქვენ და ამხანაგი ტიტო იზიარებთ ამ თვალსაზრისს, მაშინ მიზანშეწონილი იქნებოდა მოგვეწყო საამისოდ საგანგებო რწმუნებებით აღჭურვილ პირთა კონფიდენციალური შეხვედრა, შეხვედრა შეიძლებოდა ჩაგვეტარებია მოსკოვში, ხოლო თუ თქვენ ამას რაიმე მიზეზის გამო მიუღებლად მიიჩნევთ, მაშინ ბელგრადშიც. ამხანაგმა ბერიამ გამოთქვა რწმენა, რომ ამ საუბრის შესახებ, თქვენსა და ამხანაგ ტიტოს გარდა, არავის ეცოდინება“. ამის განხორციელება ბერიამ ვერ მოასწრო“.

ასე და ამგვარად აღმოჩნდა იუგოსლავიაც ჯაშუშისა და „საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის“ მხედველობის არეში. უცნობი ავტორის მიერ დაწერილი ამ ბარათის ადრესატი იყო ა. რანკოვიჩი — იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო ი. ბროზ ტიტო — იუგოსლავიის კომუნისტების კავშირის გენერალური მდივანი, პრეზიდენტი და ვეჩეს თავმჯდომარეა. საქმე ის არის, რომ 1948-1949 წლებში ურთიერთობა საკ. კპ(ბ)-სა და იუგოსლავიის კომუნისტების კავშირს შორის დაირღვა, ხოლო შემდგომ გაწყდა სახელმწიფოთაშორისი კავშირებიც. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა იუგოსლავიის პრობლემების სიმწვავე და ბერიას მხილება დანაშაულში.

„**მოლოტოვი.** განა ცხადი არ არის, თუ რას ნიშნავს ბერიას ცდა პირი შეკრას რანკოვიჩთან და ტიტოსთან, რომლებიც ისე იქცევიან, როგორც საბჭოთა კავშირის მტრები? განა ცხადი არ არის, რომ ეს წერილი, რომელიც ბერიამ ჩვენი მთავრობისაგან მალულად შეადგინა, იყო კიდევ ერთი თავხედური გზა ზურგში ჩაეცა საბჭოთა სახელმწიფოსათვის და უშუალო სამსახური გაეწია იმპერიალისტური ბანაკისათვის? ეს ერთი ფაქტიც საკმარისია, რომ გავაკეთოთ დასკვნა: ბერია — უცხო ბანაკის აგენტია, კლასობრივი მტრის აგენტი“.

ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერანაირად ვერ ჩავწვდი ბერიას ამ დანაშაულს და თავი იმით ვინუგეშე, რომ ვერც მოლოტოვი ჩასწვდომია მას. დამატებითი „არგუმენტების“ მოშველიება გრძელდებოდა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმიც მუშაობას განაგრძობდა.

„**ანანოვიჩი.** ბერია უთუოდ იყო დაკავშირებული საერთაშორისო იმპერიალისტურ დაზვერვასთან, როგორც მისი დიდი აგენტი და ჯაშუში. აქ მოტანილი ფაქტები, მისი წერილი, რანკოვიჩთან და ტიტოსთან მისი დაძმობილება მას შემდეგ, რაც ტიტო ინგლისიდან ჩამოვიდა და ამერიკაც მოინახულა, არ არის შემთხვევითი. არც მისი წინადადება გდრ-ში სოციალიზმის მშენებლობაზე უარის თქმის თაობაზე და ორიენტაცია გდრ-ს ფაქტობრივ ლიკვიდაციაზეა შემთხვევით. ეს იმპერიალიზმის აგენტის გეზია“.

და, მაინც საიდან გაჩნდა „იმპერიალიზმის აგენტი?“ კი, მაგრამ, არის თუ არა თუნდაც რაიმე ცნობა ან მონაცემი, რომ ბერია საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტია და ჯაშუში? არც არსაიდან.

„**მიკოიანი.** ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს პირდაპირი მონაცემები, იყო თუ არა იგი ჯაშუში. ღებულობდა თუ არა იგი მითითებებს უცხოელი პატრონებისაგან. მაგრამ ნუთუ ეს არის მთავარი?“

გააჩნია ვისთვის რა არის მთავარი და ვინ არის ვინ.

დანაშაული და სასჯელი

ლავრენტი ბერიას ბოროტი ქმედებანი, რაც სისხლის სამართლის სხვადასხვა ხასიათის, სახისა და შინაარსის ერთად აღებულ დანაშაულებებზე უფრო მძიმეა, ახლა ალარავისთვისაა სადაო, მაგრამ მაშინ, იქ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამაზე არსებითად არც უმსჯელიათ. ითქვა, კი, როგორ არ ითქვა. ითქვა მაგალითად, რომ „ბერია, იაგოდა, ეჟოვი, აბაკუმოვი“, რომლებიც სხვადასხვა დროს იყვნენ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა ან სახელმწიფო უშიშროების მინისტრები, ხოლო მერე, ასევე სხვადასხვა დროს დახვრიტეს, — „ერთი ჯურისანი“ არიანო. ითქვა იმის თაობაზეც, რომ „ვნახოთ 1937 წლისა და 1937 წლის შემდეგ საქმეები, მათ შორის აგრეთვე ბევრი ყალბი საქმეაო“, ხოლო ამის მთქმელს პრეზიდიუმიდან კვერი დაუკრეს: „სწორია, ნახევარზე მეტი ყალბიაო“. ისიც ითქვა, რომ „აიღეთ „ექიმი-მავნებლების“ საქმე. ეს ჩვენთვის სამარცხვინო საქმე. მეგრელთა საქმე საქართველოში — ესეც „ლიპაა“. შეიძლებოდა კიდევ დაგვესახელებია მსგავსი „ლიპა“ საქმეები“. შეიძლებოდა, მაგრამ არ დაასახელეს. არც დამნაშავეები ამხილეს. ისინი კი იქვე ისხდნენ, დარბაზშიც და პრეზიდიუმშიც. ნ. ს. ხრუშჩოვმა, მაგა-

საქართველოს

ლითად, ისიც კი თქვა, რომ „ჩვენ ხშირად ვიყავით ბერიასთან ერთად, ამიტომ მისგან ბევრის მოსმენა შეგვეძლო. იგი ზოგჯერ თვითონ იყო აღშფოთებული იმით, რაც შსს-სა და სუს-ში ხდებოდა. მაგრამ, ეს იყო სიტყვიერად, ხოლო სინამდვილეში იგი უკანონობას სჩადიოდაო“.

ეს არის და ეს. მეტი არაფერი. იმდროინდელი უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები თვითონვე იყვნენ რეპრესიული პოლიტიკის აქტიური გამტარებლები და ამის გახსენება მათ ხელს არ აძლევდა. სხვა რამ აღმოჩნდა სადარდებელი.

„მალენკოვი. მე უნდა ვუთხრა ცკ-ს პლენუმს ბერიას ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებზე, როგორიცაა ცკ-ს პრეზიდიუმის წევრების კონტროლისათვის მათივე დაცვის გამოყენება. ახლა ჩვენთვის ცნობილია, რომ პრეზიდიუმის თითოეული წევრის გადაადგილების, პრეზიდიუმის წევრების შეხვედრების შესახებ, ბერია მაშინვე გებულობდა დაცვის მეშვეობით. აგრეთვე ცნობილია, რომ ფარულად უსმენდნენ ცკ-ს პრეზიდიუმის წევრთა ტელეფონით საუბრებს და ბერიას მოახსენებდნენ. ჩვენ ამის დოკუმენტური მონაცემები გაგვაჩნია“.

აქედან იწყებოდა, ხოლო მერე და მერე სხვა ხასიათისა და დანიშნულების ბრალდებებიც ამოტივტივდებოდნენ ხოლმე. უფრო პოლიტიკური და შინაპარტიული მნიშვნელობის ბრალდებები.

„ხრუშჩოვი. ამხანაგებო. მე არაერთხელ მსმენია ბერიას მსჯელობა პარტიისა და სოციალიზმის მშენებლობის შესახებ. მისი ბოლოდროინდელი გამონათქვამებია, როცა ჩვენ გდრ-სა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში საქმის მდგომარეობას ვიხილავდით. მაშინ საკითხი დადგა იმის შესახებ, რომ ერთ პირს არ შეეთავსებია ცკ-სა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა. განხილვისას ამხანაგ რაკოშიმ (უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცკ-ს პირველი მდივანი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ო. ქ.) იკითხა: გთხოვთ მირჩიოთ, რარიგი საკითხებია გადასაწყვეტი მინისტრთა საბჭოში, ხოლო რაგვარი ცკ-ში. როგორი უნდა იყოს გამიჯვნა“... მაშინ ბერიამ აგდებულად თქვა: „რა, ცკ? ყველაფერი მინისტრთა საბჭოს გადაწყვიტოს, ბოლო ცკ-მ კადრებსა და პროპაგანდაზე იმუშაოს“. მე გამაკვირვა ასეთმა განცხადებამ. მაშასადამე, ბერია გამორიცხავს პარტიის ხელძღვანელ როლს, ბლუდავს მის როლს კადრებთან მუშაობით (ისიც ალბათ პირველ ხანებში) და პროპაგანდით“.

ასეთია ამ ხასიათის მთავარი ბრალდება, რამდენადაც ბერია ფიქრობდაო, რომ „გამაგრებულიყო და მაშინ სულაც მოესპო პარტია“.

შემდეგი ბრალდება ბერიას ამ-ხელს, როგორც საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგე სახელმწიფო დამნაშავეს.

„მოლოტოვი. ხავსებით ცხადია, რომ მან (ე. ი. ბერიამ) გულში ჩაიდო გეგმა, მიმართული ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის წინააღმდეგ. მას ხვა კურსი ჰქონდა — კურსი კაპიტალიზმზე. არაფერი ხვა. გარდა კაპიტალიზმისაკენ დაბრუნებისა ამ კაპიტულიანტ-მოღალატეს არ გააჩნდა ისევე, როგორც ხვა კაპიტულიანტ-მოღალატეებს, რომლებსაც პარტიამ ადრე გაუსწორა ანგარიში“.

ამას მოჰყვა ბრალდება, რომელიც ნაციონალური პოლიტიკის პრობლემებთან არის დაკავშირებული. 1953 წლის მაისში, ბერიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში შეიტანა საკითხი ლიტვისა და უკრაინის რესპუბლიკებში სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობის შესახებ ანტისაბჭოთა ნაციონალისტური იატაკქვეშეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ბერიასეულ დოკუმენტში ლაპარაკია დაშვებულ შეცდომებზე ნაციონალური პოლიტიკის დარგში, რეპრესიებსა და განკულაკებაზე ლიტვასა და დასავლეთ უკრაინაში, ეროვნული ინტელიგენციის დევნაზე, საკადრო პოლიტიკაში „რუსიფიკაციაზე“ და ა. შ. ანალოგიურ საკითხებს ეხებოდა აგრეთვე ბერიას მოხსენებითი ბარათები ბელორუსიისა და ლატვიის რესპუბლიკებში მდგომარეობის შესახებ.

პროვოკაციული უწოდა მათ ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ა. ი. სნეჩკუსმა, რომელსაც ბერიასათვის უთხოვია უცხოეთის რადიოსადგურების ლიტვურ ენაზე გადმოცემების ჩახშობა. „მეო, — მიპასუხა ბერიამ, — ვამზადებ წინადადებებს საერთოდ იმ საჭედის სალიკვიდაციოდ, რომელიც ახლა არსებობსო“.

ბერიას განზრახული ჰქონია რესპუბლიკებში ორდენების შემოღება. ეს განაცხადა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ა. ი. კირიჩენკომ, რომელიც ბერიას ცნობილ ბარათსაც შეეხო დასავლეთი უკრაინის შესახებ.

„კირიჩენკო. გაუგებარია, რატომ ფიგურირებენ ბერიას ბარათში ასეთი ტერმინები: „დასავლეთუკრაინელი ინტელიგენცია“, „დასავლეთუკრაინელი კადრები“, „რუსაკები“, „რუსიფიკაცია“, „დასავლეთი უკრაინა“.)

ახლა მაინც თუა გასაგები იმ ბრალდებების არსი და მნიშვნელობა, რომლებიც მაშინ ბერიას წაუყენეს?

მე გავიგე.

მაგრამ, კიდევ ერთხელ გავვოცდი, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ერთხმად მიღებულ დადგენილებაში ამოვიკითხე, რომ ბერია თურმე „მიზნად ისახავდა ჩაეფუშა კოლმეურნეობები“.

ამის შემდეგ უკვე ალარც მე მეთქმის რაიმე.

აი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების სულ ბოლო, დამამთავრებელი სტრიქონები: „ხალხთან მჭიდრო ერთიანობაში, ჩვენი პარტია ურყევად და მტკიცედ ივლის წინ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით“.

წერტილი.

* * *

მე მოვრჩი კითხვას.

წაკითხულმა გულში ხინჯი დამიტოვა.

მაგრამ, ის მაინც ხომ გავიგე, თუ ვინ არის ვინ, სხვისი მონაყოლით კი არა, მათივე საკუთარი ნათქვამიდან. თვითონ მელაპარაკენენ. ერთის გარდა, გავიგე ისიც, თუ სად არის მითი და სად ყოფილა სინამდვილე.

ვის ატყუებდით?

რისი გულისათვის?

რა გრჯიდათ და გაიძულებდათ?

კომუნისტური იდეები?

ცოდვიშვილები!

მიუტევე მამაო, რამეთუ არა სცოდნიათ რასა იქმოდნენ.

ამინ!

ოთარ ქინწალაძე.



ეკვლესია

ერნესტ ჰემინგუეი

მსოფლიოს ნოველა

ჯენრის სასაუზმის კარი გაიღო და ორნი შემოვიდნენ. დახლს მიუსხდნენ.

— რას ინებებთ? — ჰკითხა ჯორჯმა.

— მე თვითონ არ ვიცი, — უპასუხა ერთმა.

— შენ რას შეჭამ, ელ?

— მეც არ ვიცი, — მიუგო ელმა, — რა ვიცი, რა ვჭამო?

გარეთ თანდათანობით ჩამობნელდა. ფანჯრიდან ქუჩის ფარნის შუქი შემოიჭრა. შემოსულები მენიუს ათვალიერებდნენ. დახლში მდგარი ნიკ ადამსი მათ შეჰყურებდა. იგი ჯორჯს ესაუბრებოდა, როცა ეს ორი კაცი შემოვიდა.

— მე ღორის სუკი მომიტანე, ვაშლის სოუსი და კარტოფილის პიურე, — თქვა პირველმა.

— სუკი ჯერ არ გახლავთ.

— მაშ აქ რა ჯანდაბად გიწერიათ?

— ეგ სადილისაა, — განუმარტა ჯორჯმა, — ექვს საათზე მოგართმევთ.

ჯორჯმა საათს ახედა დახლის ზემოთ.

— ჯერ ხუთია.

— ექვსის ოცია, — უთხრა მეორე შემოსულმა.

— ოცი წუთით წინ გარბის.

— რაღა ჯანდაბად გინდათ მაგისთანა საჭათი! — თქვა პირველმა, — მაშ რა შევჭამო?

— სენდვიჩს მოგართმევთ, რანაირსაც ინებებთ, — მიუგო ჯორჯმა.

— ლორიან ერბო-კვერცხს, ქონში შემწვარ კვერცხს, ლორსა და ღვიძლს.

— წიწილის კროკეტი მომიტანე, მუხუდოთი და კარტოფილის პიურეთი.

— ეგეც სადილისაა.

— ყველაფერი სადილისა როგორ არის! მაგარი მუშაობა გქონიათ.

— ლორიანი ერბო-

კვერცხი მიირთვით, გინდა ქონში შემწვარი, ან ღვიძლი და...

— ლორიანი ერბო-კვერცხი იყოს, — თქვა ერთმა, რომელსაც ელი ერქვა. ქვაბურა ქუდი ეხურა ამ კაცს, შავი პალტო ეცვა. ღილები ბოლომდე შეეკრა. გაცქინტული სახე სულ გადატეტკოდა, პირი მაგრად ჰქონდა მოკუმული. აბრეშუმის ყელსახვევი შემოეხვია და ხელზედაც თათმანები წამოეცვა.

— მე კიდევ ქონში შემწვარი კვერცხი მომიტანე, — უთხრა მეორემ. თითქმის ერთი სიმაღლისანი იყვნენ. სახით არა ჰგავდნენ ერთმანეთს. მაგრამ ტყუპებივით ეცვათ. პალტო ორივეს მაგრად შემოეჭირათ ტანზე. ნიდაყვები ,დახლზე ჩამოეყრდნოთ ,და წინ გადმოხრილიყვნენ.

— სასმელი თუ გაქვთ რამე? — იკითხა ელმა.

— ლიმონათი, მორსი, ილის ლუდი. — მიუგო ჯორჯმა.

— მე სასმელს გეკითხები.

— რაც მოგახსენეთ, ეგ არის.

— დიდებული ქალაქი ყოფილა, — თქვა მეორემ, — რა ჰქვიაო?

— სემიტი.

— გაგიგონია როდესმე? — ელმა ჰკითხა თავის ამხანაგს.

— პირველად მესმის. — უპასუხა ამხანაგმა.

— ღამღამობით რას აკეთებთ? — იკითხა ელმა.

— ვახშმობენ, — მიუგო ამხანაგმა, — აქ შემოლაგდებიან და დიდებულ ვახშამს მიირთმევენ.

— კარგად გამოიცანით, — უთხრა ჯორჯმა.

— ვითომ? — ჰკითხა ელმა.

— ნამდვილად.

— ჭკუის კოლოფი ყოფილხარ, ჰა!

— ნამდვილად.

— ჭკუის კოლოფი კი არა და! — თქვა მეორემ. — ჰა, რას იტყვი, ელ?

— შტერია ერთი! — თქვა ელმა და ნიკს მიუბრუნდა. — შენი გვარი?

— ადამსი.

— შენც ჭკუის კოლოფი ყოფილხარ, — თქვა ელმა, — ხომ ჭკუის კოლოფია, მაქს?

— ჭკუის კოლოფებით არაა მთელი ქალაქი გამოტენილი! — მიუგო მაქსმა.

ჯორჯმა დახლზე დაალაგა თეფშები: ერთზე ლორიანი ერბო-კვერცხი, მეორეზე ქონში შემწვარი კვერცხი. მერე თითო თეფში შემწვარი კარტოფილი შემოულაგა და სამზარეულოს სარკმელი დაუშვა.

— თქვენი რომელია? — მიმართა ელს.

— არ გახსოვს?

— ლორიანი ერბო-კვერცხი.

— მართლაც ჭკუის კოლოფი ყოფილხარ, — უთხრა მაქსმა. გადაიწია და ლორიანი ერბო-კვერცხი აიღო. ხელთათმანები არც ერთს არ წაუძვრია. ისე შეუდგნენ ჭამას, ჯორჯი მათ მისჩერებოდა.

— რას მოგვშტერებიხარ? — მაქსმა ჯორჯს შეხედა.

— ისე.

— როგორ ისე?! რას გამიშტერე თვალი!

— ალბათ გაგეხუმრა, მაქს, — უთხრა ელმა.

ჯორჯს გაეცინა.

— რას იჭყანები! — შეუბღვირა მაქსმა. — ჭყანვა რა შენი საქმეა?

— აგრე იყოს, — თქვა ჯორჯმა.

— აგრე იყოსო, გესმის? — მაქსმა ელს შეხედა, — აგრე იყოსო, მეთანხმება. კარგი ვინმე ყოფილა.

— ცარიელი ჭკუაა, — თქვა ელმა. ისევ საჭმელს მიუბრუნდნენ.

— იმ მეორე ჭკუის კოლოფს რა ჰქვია? — ჰკითხა ელმა მაქსს.

— ეი, ჭკუის კოლოფო, — მიმართა მაქსმა ნიკს, — დახლში შედი და შენს ძმაკაცს ამოუდექი გვერდში.

— ვითომ რაო?

— არაფერი, ისე.

— მიდი, მიდი, ჭკუის კოლოფი, — უთხრა ელმა. ნიკი მიტრიალდა და დახლში შევიდა.

— მაინც, რაო? — იკითხა ჯორჯმა.

— რა თქვენი ოხერი ჭკუის საკითხავია! — თქვა ელმა. — სამზარეულოში ვინ არის?

— ზანგია!

— ვინ ზანგი?

— ჩვენი მზარეული.

— აქ მომგვარეთ.

— ვითომ რაო?

— აქ მომგვარეთ-მეთქი!

— ნეტა სადა გგონიათ თავი?

— ჩვენ არაფერი შეგვეშლება, არხეინად იყავით, — ეს მაქსმა თქვა, — შტერებს ვგავართ თუ რა?

— შტერულად კი ლაპარაკობთ და, — უთხრა ელმა, — ნეტა ამ ღლაპს რას უყადრებ თავს. მოიხედე, — მიმართა ჯორჯს, — ახლავე ზანგი გამოიყვანე.

— რა გინდათ?

— არაფერი. ცოტა ჭკუას დაუხმე, ჭკუის კოლოფო. ზანგისგან რა უნდა გვინდოდეს?!

ჯორჯმა ისევ ასწია სამზარეულოს სარკმელი.

— სემ, — გასძახა მან, — ერთი წუთით გამოდი.

სამზარეულოს კარი გაიღო და ზანგი შემოვიდა.

— რა იყო? — იკითხა მან. იმ ორმა დახლიდან გახედა.

— არაფერი, ზანგო. მანდვე გაჩერდი, — უთხრა ელმა.

წინსაფრიანმა ზანგმა დახლთან მსხდომთ გადმოხედა.

— აქა ვარ, სერ, — თქვა მან.

ელი მაღალი ტაბურეტიდან ჩამოვიდა.

— ამ ზანგსა და ჭკუის კოლოფს მე გავყვები, — თქვა მან, — სამზარეულოსკენ შებრუნდი, ზანგო. შენც მიჰყევი, ჭკუისკოლოფო, — ნიკი და მზარეული სემი წინ გაატარა, სამზარეულოსკენ და თვითონაც მიჰყვა. მერე კარი გაიხურა, მაქსი კი იქვე დარჩა, დახლთან. ჯორჯის პირდაპირ. ჯორჯს არც უყურებდა. იჯდა და ერთთავად დახლის უკან დაკიდებულ სარკეს მისშტერებოდა. აქ უწინ ტრაქტირი ყოფილიყო და მერე გადაეკეთებინათ სასაუზმედ.

— ჰა, ჭკუის კოლოფო, — თქვა მაქსმა ისე, რომ სარკისთვის თვალი არ მოუშორებია, — რას გაჩუმებულხარ?

— ნეტა რისთვის მოსულხართ, რა გინდათ?

— ელ, გეყურება, — გასძახა მაქსმა, — ჭკუისკოლოფი კითხულობს, რას მოსულხართო.

— ვერ ეტყვი მერე, — სამზარეულოდან მოისმა ელის ხმა.

— შენ როგორა გგონია, ვისთვის ვიქნები?

— რა ვიცი.

— მაინც, როგორ გგონია?

ლაპარაკობდა, მაგრამ სარკისთვის თვალი ერთი წუთითაც არ მოუშორებია.

— მე საიდან მეცოდინება.

— ელ, გეყურება, ჭკუისკოლოფი იძახის, მე საიდან მეცოდინებაო.

— მე მესმის, აქაც კარგად მესმის. — გამოსძახა ელმა სამზარეულოდან. თეფშების გადმოსაწოდებელი ჰატარა სარკმელი ასწია და საწებლის ბოთლით გაამაგრა. — მოიხედე, ჭკუისკოლოფო, — გამოსძახა ჯორჯს, — დახლს მოშორდი, მარჯვნივ მიდექ. შენ კი ცოტათი მარცხნივ მოიწიე, მაქს, — გეგონებოდა, ფოტოგრაფი სურათის გადასაღებად ხალხს აყენებსო.

— ჰა, ჭკუის კოლოფო, — მიმართა მაქსმა, მაინც როგორა გგონია, რა უნდა მოხდეს?

ჯორჯს არაფერი უპასუხნია.

— მაშ მე გეტყვი, — განაგრძო მაქსმა. — ერთი შვედი უნდა მოვკლათ, არ იცნობ? ყველაყუდა შვედია, ოლე ანდრესონი?...

— ვიცი.

— მოდის ხოლმე, საკახშმოდ, არა?

— ზოგჯერ შემოივლის.

— სრულ ექვს საათზე მოდის, ხომ?

— თუ მოვიდა, კი.

— ეგ ჩვენც ვიცით, ჭკუის კოლოფო, — თქვა მაქსმა, — შენ სხვა რამე მიამბე. კინოში არ დადიხარ?

— ათასში ერთხელ.

— უფრო ხშირად უნდა იარო. შენისთანა ჭკუის კოლოფისთვის კინო მისწრებაა.

— რას ერჩით ოლე ანდრესონს? რათა კლავთ, რა დაგიშავათ?

— რა უნდა დაეშავებინა! თვალითაც არ უნახივართ.

— და მარტო ერთხელ უწერია ჩვენი დანახვა, — გამოსძახა ელმა სამზარეულოდან.

— მაშ რატომღა ჰკლავთ, იკითხა ჯორჯმა.

— ერთმა ძმაკაცმა გვთხოვა. ძმაკაცის ხათრით, ჭკუისკოლოფო.

— მოკეტე! — გამოსძახა ელმა სამზარეულოდან. — ენად ნუ გაიკრიფე.

— რა ვქნა აბა, ჩვენი ჭკუის კოლოფი ხომ უნდა გავართთო! ასე არ არის ჭკუისკოლოფო?

— ძალიან ბევრს ლაუბობ, — მიუგო ელმა, — ჩემი ჭკუის კოლოფი და ეს ზანგი თვითონვე ერთობიან. მონასტრის გოგოებივით გადავაბი ერთმანეთს.

— ეტყობა, შენც ყოფილხარ მონასტერში.

— რატომაც არა.

— შენ ალბათ სინაგოგაში იყავი და გეშლება.

ჯორჯმა საათს ახედა.

— თუ ვინმე შემოვიდეს, მზარეული არ გვყავს-თქო, უთხარი. მაინც თუ არ მოგეშვას, მე თვითონ მოგიმზადებთ-თქო. გაიგე, ჭკუისკოლოფო?

— აგრე იყოს, — თქვა ჯორჯმა, — ჩვენ რაღას გვიპირებთ?

— გააჩნია. საქმე როგორ დატრიალდება, მიუგო მაქსმა, — ეგ ისეთი რამეა, რომ წინასწარ ვერ იტყვი.

ჯორჯმა საათს ახედა. შვიდის თხუთმეტი იყო. შემოსასვლელი კარი გაიღო. ტრამვაის ვატმანი შემოვიდა.

— გამარჯობა, ჯორჯ. — თქვა მან, — არ მაკახშმებ?

— სემი სადღაც წავიდა, — მიუგო ჯორჯმა, — ნახევარ საათში დაბრუნდება.

— მაშ წავსულვარ, — თქვა ვატმანმა. ჯორჯმა საათს ახედა. შვიდის ოცი იყო.

— ყოჩაღ, ჭკუის კოლოფო, — უთხრა მაქსმა, — ნამდვილი პატარა ჯენტლმენი ხარ.

— იცის, რომ თავს წავაგლეჯ, — გამოსძახა ელმა სამზარეულოდან.

— რას ამბობ, ეგ რა მოსატანია — მიუგო მაქსმა, — ჩვენი ჭკუის კოლოფი ნაღდი ბიჭი ყოფილა. ნაღდი ბიჭი. მიყვარს ამისთანა ხალხი.

შვიდს ხუთი აკლდა, როცა ჯორჯმა თქვა:

— აღარ მოვა.

ორი კაცი შემოვიდა სასაუზმეში. ერთმა შინ წასაღებად სენდვიჩი მოითხოვა. ჯორჯი ფავიდა და მოუმზადა. სამზარეულოში რომ შევიდა, ელი დაინახა — ქვაბურა ქუდი კეფაზე მოეგდო, ფანჯარასთან მიმჯდარიყო და მოკლეკონდახიანი თოფით ჯირკს დაყრდნობოდა. ნიკი და მზარეული ზურგით გადაება ერთმანეთზე და კუთხეში მიეყარა, ცხვირ-პირიც ხელსახოცებით აეკრა ორივესთვის. ჯორჯმა სენდვიჩი მოამზადა, ქაღალდში გაახვია. ჩანთაში ჩადო და გამოუტანა. კაცმა ფული გადაიხადა და წავიდა.

— ჭკუის კოლოფია, რა არ შეძლებია, — თქვა მაქსმა, — საჭმლის მომზადებაც სცოდნია და ყველაფერი. ყოჩაღი ქმარი ეყოლება შენს ცოლს, ჭკუის კოლოფი.

— ვითომ? თქვენი მეგობარი ოლე ანდრესონი კი აღარ აპირებს მოსვლას.

— ათი წუთი კიდევ ვაცალოთ, — თქვა მაქსმა.

— მაქსმა ჯერ სარკეს შეხედა. მერე საათს. ისარი სრულ შვიდს უჩვენებდა. შემდეგ რვის ხუთს.

— გამოდი, ელ, — გასძახა მაქსმა, — წავიდეთ, აღარ მოდის.

— ხუთი წუთი კიდევ ვაცალოთ, — მიუგო ელმა.

ამ ხუთ წუთში ვიღაც კაცი შემოვიდა. ჯორჯმა უთხრა, მზარეული ავად გვყავსო.

— სხვა მზარეული ვერარ აიყვანეთ?! — გაცხარდა უცნობი, — ამასაც თუ სასაუზმე ჰქვია! — თქვა და წავიდა.

— გამოდი, ელ, — გასძახა მაქსმა.

— ამ ორ ჭკუის კოლოფსა და ზანგს რა უნდა ვუყოთ?

— არაფერიც არ უნდა ვუყოთ.

— ვითომ?

— აბა რა, ჩვენს საქმეს ხომ მოვრჩით!

— ვერ ვიტან ამას, — თქვა ელმა, — ეგ რაღა საქმე გამოვიდა. შენ კიდევ ზედმეტი წამოაყრანტალე.

— ნეტა ერთი. ცოტათი ხომ უნდა გაგვერთო თავი! — მიუგო მაქსმა.

— ჰო, მაგრამ მეტი მოგვივიდა, — თქვა ელმა და სამზარეულოდან გამოვიდა. მოკლეკონდახიან თოფს წელს ქვემოთ ცოტათი გამოებერა ტანზე შემოტმასნილი პალტო. ელმა თათმანებიანი ხელებით გაისწორა.

— მშვიდობით, ჭკუის კოლოფო, — უთხრა მან ჯორჯს, — ძაღლის ბედი გქონია.

— ჭეშმარიტად, — ამოიოხრა ბოლოს ბოლოს, — ეგ ერი დაუკრა მაქსმა, — შენ დოღზე უნდა ჩამოდიოდე ხოლმე სანაძლეოს.

ქუჩაში გავიდნენ. ჯორჯმა ფანჯრიდან გააყოლა თვალი — ფარანს ჩაუარეს და ქუჩა გადაჭრეს. ქვაბურა ქუდებითა და ვიწროდ შემოტმასნილი პალტოებით ესტრადის მსახიობებსა ჰგავდნენ. ჯორჯი სამზარეულოში შევიდა და ნიკსა და მზარეულს ხელები გაუხსნა.

— მადლობა ღმერთს, — წამოიძახა მზარეულმა სემმა. — მადლობა ღმერთს.

ნიკი წამოდგა. თავის დღეში პირი არა ჰქონია ხელსახოცით აკრული.

— ერთი გამაგებინე, — თქვა მან, — რა ჯანდაბა უნდოდათ? — ვითომც არაფერიო, ისე ცდილობდა თავის დაჭერას.

— ოლე ანდრესონის მოკვლა უნდოდათ, — მიუგო ჯორჯმა, — საკახშმოდ რომ შემოვიდოდა, ესროდნენ კიდეც.

— ოლე ანდრესონისა?

— ჰო.

მზარეულმა ცერით მოისინჯა პირის ნახევები.

— სულ წავიდნენ? — იკითხა მან.

— ჰო, წავიდნენ, — მიუგო ჯორჯმა.

— რაღაც არ მომწონს, — თქვა მზარეულმა, — არ მომწონს ეგ საქმე.

— მოიხედე, — უთხრა ჯორჯმა ნიკს, — წადი და ოლე ანდრესონი ნახე.

— წავალ.

— ნუ გავებმებით მაგ საქმეში, — თქვა მზარეულმა სემმა, — ჯობს, განზე გავდგეთ.

— თუ არ გინდა, ნუ წახვალ, — უთხრა ჯორჯმა.

— კარგს არაფერს გადავეყრებით, — თქვა მზარეულმა, — განზე ვიდგეთ.

— მე წავალ. — უთხრა

ნიკმა ჯორჯს. — სადა ცხოვრობს?

ზანგი შეტრიალდა.

— შეაყარე კედელს ცერცვი! — ჩაილაპარაკა მან.

— ჰირშის სახლებში ცხოვრობს, — მიუგო ჯორჯმა.

— მაშ, ავირბენ.

ფარნის სინათლე გაშიშვლებულ რტოებში ტანდა. ნიკი ტრამვაის ლიანდაგს გაჰყვა და როცა მეორე ფარანს მიადგა, შეუხვია. აქედან მეოთხე სახლი ჰირშისა იყო. ნიკმა ორი საფეხური აიარა და ზარის ზონარი ჩამოსწია. კარი ქალმა გაიღო.

— ოლე ანდრესონი აქა ცხოვრობს?

— ნახვა გნებავთ?

— დიახ. შინ თუა.

ნიკი ქალს გაჰყვა. კიბე აიარეს და დერეფნის ბოლოში გავიდნენ. ქალმა კარზე დააკაკუნა.

ვინ არის?

— თქვენთან არის ვიღაც. მისტერ ანდრესონ, — თქვა ქალმა.

— მე ვარ — ნიკ ადამსი.

— შემოდით.

ნიკმა კარი შეაღო და შევიდა. ოლე ანდრესონი გაუხდელი მიგდებულიყო ლოგინზე. ეს კაცი ოდესღაც ჩემპიონი იყო კრივში. საწოლი მეტისმეტად მოკლე ჩანდა მისთვის. თავქვეშ ორი ბალიში ამოედო. ნიკისთვის არც კი შეუხედავს.

— რა ამბავია? — იკითხა მან.

— ჰენრის სასაუზმეში ვიყავი, — დაიწყო ნიკმა, — ვიღაც ორი კაცი შემოვიდა. მე და მზარეული შეგვკრეს. ოლე ანდრესონი უნდა მოვკლათო, იძახდნენ.

რაღაც სულელურად გაისმა ეს სიტყვები. ოლე ანდრესონს არაფერი უთქვამს.

— სამზარეულოში შეგვათრიეს, — განაგრძო ნიკმა, — სავახშმოდ რომ მოვა, მაშინ მოვკლავთო.

ოლე ანდრესონი კედელს მიაშტერდა. ხმა არც ახლა გაუღია.

— ჯორჯმა გამომაგზავნა, გააფრთხილეო.

— მაგას აღარაფერი ეშველება, — თქვა ოლე ანდრესონმა.

— თუ გინდათ აგიწერთ, რა სიფათის ხალხი იყო.

— არ მინდა, — თქვა ოლე ანდრესონმა, კედელს მიაშტერდა. — გაფრთხილებისათვის მადლობელი ვარ.

— რას ბრძანებთ.

ნიკმა ლოგინზე გაშხვართულ მამაკაცს დახედა.

— გინდათ, წავალ და პოლიციას შევატყობინებ.

— არა, — თქვა ოლე ანდრესონმა, — მაინც არაფერი ეშველება.

— არა, აღარაფერი ეშველება.

— იქნებ ტყუილი დაახეთქეს, ისე — უბრალოდ.

— არა, უბრალო საქმე არ არის.

ოლე ანდრესონი კედლისკენ გადაბრუნდა.

— უბედურება ის არის, — თითქოს კედელს წაულაპარაკა ოლე ანდრესონმა, — რომ გარეთ გამოსვლაც აღარ შემიძლია. მთელი დღეა ასე ვგდივარ.

— სულ რომ გახვიდეთ ქალაქიდან?

— არა, — ჩაილაპარაკა ოლე ანდრესონმა, — ამდენი წანწალიც მომბეზრდა.

კედელს მიაშტერდა.

— უკვე აღარაფერი ეშველება.

— იქნებ რამე ვიღონოთ.

— არა. ჩემი საქმე წასულია, — ისევე უსიცოცხლოდ ლაპარაკობდა. — საშველი აღარ არის. ცოტა ხანიც და ღონეს მოვიკრებ. გამოვალ.

— მაშ მე ჯორჯთან დავბრუნდები, — თქვა ნიკმა.

— მშვიდობით, — ჩაილაპარაკა ოლე ანდრესონმა. ნიკისთვის არც კი შეუხედავს, — მადლობელი ვარ, რომ მოხვედი.

ნიკი გამოვიდა. კარს რომ აღებდა, ერთხელ კიდევ გახედა ლოგინზე გაშხლართულ ოლე ანდრესონს, რომელიც კედელს მიშტერებოდა.

— მთელი დღეა, ოთახიდან არ გამოსულა, — უთხრა ქალმა დაბლა ჩასულ ნიკს. — უქეიფოდ თუა. ვეუბნები — „მისტერ ანდრესონ, გადით, გაისეირნეთ, ამისთანა ამინდს კაცი გააცდენს!“ მაგრამ არ ინდომა.

— შინიდან ფეხს არ იცვლის.

— რა ვქნა, ალბათ უქეიფოდაა. — თქვა ქალმა. — დიდებული კაცია, გახსოვთ, რინგზე გამოდიოდა.

— ვიცი.

— მარტო სახეზე თუ შეატყობს კაცი, — თქვა ქალმა, გასასვლელ კარში იდგნენ და ლაპარაკობდნენ, — ისეთი კეთილშობილი კაცია!

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მისის ჰირშ.

— მე მისის ჰირში არ გახლავართ. მისის ჰირში დიასახლისია. მე მასთან ვმსახურობ, მისის ბელი მქვია.

—მშვიდობით, მისის ბელ, — უთხრა ნიკმა.

— მშვიდობით, — უპასუხა ქალმა.

ნიკი ბნელ ქუჩას დაუყვა, ფარანთან შეუხვია და მერე ტრამვაის ლიანდაგს ჰენრის სასაუზმისკენ გაჰყვა. ჯორჯი დახლში დაუხვდა.

— ნახე?

— ვნახე, — მიუგო ნიკმა, ოთახიდან ფეხს არ იცვლის.

ნიკის ხმა რომ გაიგონა, სემმაც გამოაღო სამზარეულოს კარი.

— მე არაფერი არ გამიგონია, — თქვა და კარი გაიხურა.

— უთხარი? — ჰკითხა ჯორჯმა.

— ჰო, ისედაც ყველაფერი იცოდა.

— მერე რას აპირებს?

— არაფერს.

— ხომ მოკლეს!

— მოკლავენ, რა თქმა უნდა.

— ალბათ ჩიკაგოში თუ გაება რამე საქმეში.

— ალბათ, — კვერი დაუკრა ნიკმა.

— საშინელებაა.

— ჯოჯობეთია, — თქვა ნიკმა.

მეტი აღარაფერი უთქვამთ, ჯორჯი ხელსახოცს დასწვდა იატაკზე და დახლი გადაწმინდა.

— ნეტა რა მოუვიდა.

— პირს შეუშლიდა ვინმეს, ამაზე დანდობა არ იციან.

— უნდა გავშორდე ამ ქალაქს, — თქვა ნიკმა.

— ჰო, — თქვა ჯორჯმა, — კარგს იზამ.

— მოსვენება აღარა მაქვს, როცა წარმოვიდგენ, როგორ გდია თავის ოთახში და ელოდება, თან იცის რომ საშველი აღარ არის. გახსენებაც კი საშინელებაა.

— შენც ნულარ გაიხსენებ, — უთხრა ჯორჯმა.

თარგმანი
ვახტანგ ჭელიძისა

როგორ დავხარჯოთ ნაკლები ბენზინი

ტოკჰოლმის გაზეთი „დაგენს ნიუზეტერი“ ფრიად საინტერესო ცნობებს აწვდის ავტომოყვარულებს, თურმე აზარტული და აგრესიული მძღოლი ორჯერ მეტ ხაწვავს ხარჯავს, ვიდრე ის, ვინც მანქანის მართვის დროს წყნარადაა და საკუთარ ნერვებს ფლობს. თუ ამავე დროს, ახე ვთქვათ, წყნარი მძღოლი ხაკმაო უურადღებას და მოხარხებულობას აკლენს. იგი ბენზინის ეკონომიის გარდა. პრაქტიკულად არც ხიხნრაფეში აგებს.

ახეთ დახკვნამდე მივიდნენ სტოკჰოლმში ჩატარებული ექსპერიმენტის მონაწილენი, რისთვისაც აირჩიეს ხაშუალო კლასის ავტომობილი — „კაპრის“ მოდელის იაპონური „ტოიოტა“. ეს 1254-ცხენის ძალიანი მანქანა ქალაქის პირობებში ხაშუალოდ 0,79 ლიტრ ბენზინს ხარჯავს.

შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა. უმეტეს შემთხვევაში მანქანის მართვის წყნარი და რბილი მანერის დროს ბენზინი მინიმალურად იხარჯებოდა. პიკის ხაათებშიც კი წყნარი ხვლიხას იგი 10 კმ-ზე 0,66 ლიტრს შეადგენდა (შედარებისთვის: აგრესიული ხვლის დროს 1,17 ლიტრი ბენზინი).

წლიურ ანგარიშში ხაშუალოდ 15 ათას კილომეტრ ხვლაში ბენზინზე დანახარჯმა 5,5 ათასი შვედური კრონი შეადგინა. ამახთან, 52,5 კილომეტრზე დროის ხხვაობა ხრულიად უმნიშვნელო გახლდათ: 66 წუთი წყნარი ხვლის პირობებში და 63 წუთი მართვის აგრესიული მანერისას.

ერთი ხაუურადღებო პირობაც: მართვის აგრესიული მანერის დროს მძღოლი გაივლის 50 კილომეტრს თუ არა ინტენსიური ხაქალაქო მოძრაობის პირობებში, ძალზე იღლება. ნერვიულდება და ადვილად ღიზიანდება. მისი მანქანა კი ამ ბნის განმავლობაში ატმოსფეროს ორჯერ მეტი ტოქსიკური გაზით ჭაშლავს, ვიდრე შშვიდი ხვლის დროს.

ამ ექსპერიმენტის ჩატარებისას „ტოიოტას“ მძღოლი იყო შვეიციხა და ხკანდინავიის ჩემპიონი ეკონომიურ მართვაში ოვე ლუნდგრენი. იგი ახე გვიჩვენებს: ხაკეთებლ რაც შეიძლება ეურადღებიანი უნდა იყოთ და ხაკუთარი თავი ხელში გეკავოთო; ხაკირთა კარგად გაიაზროთ ყოველი მანეკრი და ყოველი მოქმედება მანქანის მართვისას; უმჯობესია შეძლებისდაგვარად ვერიდოთ გახვრეხას — ეს ენერგიის დიდ დაძაბვახაკ მოითხოვს და დროში მოგებაკ მინიმალურია; ნითელ შუქზე მოტორი უნდა გამოირთოს. რადგან როცა მოტორი ჩართულია და მანქანა არ მოძრაობს, მომეკამელელ გაზებს იგი მაკსიმალური რაოდენობით ჰაერში გადმოხვრის; არ შეიძლება დაშვებული სიჩქარის გადამეტება.

საკოშაცხოვრებო ანეკდოტი

— რატომ არ იყიდე ძეხვი მაღაზიაში?

— განცხადებაა გამოკრული: „ჩეკის გარეშე არ გაიცემა!“

— მერე?

— მერედა, სულაც არ მეპატიჟავება ძეხვზე ორდერიხა-თვის „ჩეკა“-ში ვიარო. ეს შეიძლება ჩემთვის ცუდად დამთავრდეს.

* * *

ხამოკალაკო ომი ის-ის არის დამთავრდა. ქმარი ჯერ კიდევ ჯარშია. ცოლი — ხოფელში.

ცოლი დეპეშას უგზავნის ქმარს: „კარტოფილი დახათესია. არავინაა ბოსტანი გადამბარაოს“. ქმრის ხაპასუხო დეპეშა ცოლს: „მინდა ხელი არ ახლო. შიგ უუთია ბაშხანებით ჩამარხული“. ცოლის დეპეშა ქმარს: „ჩეკა“-დან მოვიდნენ. მთელი ბოსტანი გადათხარეს“. ქმრის დეპეშა ცოლს: „ახლა დათესე კარტოფილი“.

* * *

ერთმა მეორეს ქალიშვილი ჩამოაცილა. ეხე იგი წაართვა და ზის მახთან ერთად ბაღში. იმ მეორემ, ეხე იგი ვიხაც შეუვარებული წაართვეს, ტან

ეროვნული ბიბლიოთეკა



კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 5. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებს; 10. გაზი; 11. ქართველი პოეტი; 15. მხჟელობის ძირითადი შინაარსი; 18. ფრანგი მომღერალი, კინომსახიობი; 19. ავსტრიელი კომპოზიტორი; 20. საქართველოს მდინარე; 21. ნაკლი; 22. ფუტი, უნაყოფო; 23. გ. დოჩანაშვილის ნაწარმოების გმირი; 26. დიდი ბორცვი; 28. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ერთ-ერთი მუზა, ისტორიის მფარველი; 30. ხელსაწყო, რომელშიც წმენდენ სითხეებს ან აირებს მინარევებისაგან; 32. ხურნელება; 33. ციურ სხეულთა ერთობლიობა; 34. ლობიოს მსგავსი ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე; 35. გარემოება; 39. პატარა გარეული ფრინველი; 40. ადამიანი, რომელიც უველაფერს ეკვის თვალით უყურებს.

ვერტიკალურად: 1. ტბა საქართველოში; 2. ფულის ერთეული იტალიაში; 3. სიცოცხლე; 4. ზნე; 6. ხეხვის მეტად დიდი ხარგებელი; 7. მედიცინის დარგი; 8. ორგანიზაციის გადაკეთება, გარდაქმნა; 9. ნება-ხურვილის უსიტყვოდ ამსრულებელი; 12. დიპლომატიური წარმომადგენლობა; 13. ქართველი ხოპერო მომღერალი ქალი; 14. ხაშუალო ხიმაღლის ხე; 16. დიდი სიცხე, პაპანაქება; 17. ფირნიში; 24. ადამიანის ხასიათი; 25. ინგლისელი მწერალი ქალი; 27. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი; 28. ბოსტნეული მცენარე ქოლგისებრთა ოჯახისა; 29. პირობა, რომელიც უზრუნველყოფს წარმატებას; 30. ცარიელი, თაფლგამოცლილი ფიჭა; 31. გადახურული ივანი; 35. მიკროორგანიზმი; 36. რიხამე ხასიათი; 37. იტალიელი პიანისტი და დირიჟორი; 38. გარიჟრაჟი.

შეადგინა მაია ინაურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური იუმორი

მარი გულმოსაკლავად ტირის.

— მარი, რა გატირებს?

— ჩემი და-ძმა მიდის ზაფხულის არდადეგებზე, მე კი არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე ჯერ არ დავდივარ სკოლაში.

* * *

ქალბატონი ჩურჩულით ეუბნება თავის ქმარს.

— ხედავ იქ, პირველ რიგში, წვერიან მამაკაცს. ეს არის ტრისტან ბერნარი.

— შენ ხომ არ გაგიჟდი, ის ოცი წელია მოკვდა.

— დარწმუნებული ხარ?

— რა თქმა უნდა.

— ო! ეს საშინელებაა, ის უკან დაბრუნებულა.

* * *

მამაკაცმა ტაქსი გაიჩერა.

— წითელ მოედანზე თუ შეიძლება.

ტაქსი დაიძრა.

— მე წითელი მოედანი გითხარით, თქვენ კი მწვანე დარბაზთან მიგიყვანთ.

— მაპატიეთ გეთაყვა, მე დალტონიკი ვარ.

* * *

გამომცდელი ეკითხება ერთ-ერთ აბიტურიენტს.

— 1412. რა თარიღია ეს?

ბიჭი დაფიქრდა და თქვა.

— ეგება დ'არკის დაბადების წელი.

— ძალიან კარგი და 1422?

— ეგება დ'არკის დაბადების 10 წლისთავი.

* * *

მოხუცი ბატონი ტუეში რამდენიმე ხტუმართან ერთად წავიდა. უცებ შეჩერდა, თოფი მოიმარჯვა და ხოხობი მოკლა.

— ორი! — თქვა მან ამაყად.

— როგორ თუ ორი? — გაიკვირვა ხტუმარმა. — ხად არის პირველი?

— ის 1936-ში მოვკალი.

* * *

Ა წლის ფრანსუა ᲣᲔᲚ-ᲣᲣᲠᲘᲡ ᲔᲙᲘᲗᲐᲜ ᲛᲘᲘᲣᲒᲐᲜᲘᲡ.

— ᲐᲑᲐ ᲗᲥᲕᲘ „Ა, Ა, ᲐᲐᲐ

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, სავაჭრო ობიექტების, უცხოეთის ფირმების, ერთობლივი საწარმოების, კერძო მეწარმეთა და კომერსანტთა

საყურადღებოდ!

საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ასოციაცია „ფიროსმანის მეგობრების“ სარეკლამო-საგამომცემლო სააგენტო ჟურნალ „დროშის“ ფურცლებზე მუარი 36 000-იანი ტირაჟით უზრუნველყოფს მაღალმხატვრული შავ-თეთრი და ფერადი ილუსტრაციებით შემკული ნებისმიერი განცხადებისა და სარეკლამო მასალის გამოქვეყნებას.

ჩვენ ვუფრთხილდებით თქვენს ჯიბეს და საკუთარ რეპუტაციას!

ჩვენი ტარიფები თითქმის ორჯერ უფრო იაფია სხვებთან შედარებით.

● კოლექტიურ და ინდივიდუალურ დაკვეთებს ვიღებთ უშუალო მოლაპარაკების თანახმად.

ჩვენი მისამართია:
თბილისი, 380008,
რუსთაველის პრ. № 42,
მე-3 სართული, ჟურნალ „დროშის“
რედაქცია — ასოციაცია
„ფიროსმანის მეგობრებს“
სარეკლამო-საინფორმაციო
სამსახური. ტელ.: 99-82-69.

ინდექსი 76056

Ку 120/1